ახალი განათლება

10 – 16 დეკემბერი

ფასი 1 ლარი 50 თეთრი

№38 (712) გამოდის 1998 წლიდან

www.axaliganatleba.ge

მინდობითი აღზრდის მიღწევები და რისკები

გვერდი 5



მთავარი გზავნილი – ხარისხის მუდმივი გაუმჯობესება

რუბრიკის „ინტერვიუ რედაქტორთან“ სტუმარია შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის რედაქტორი თეონა ხუფენია

გვერდი 6

სერიის ფასი – 17.70₾

ქართული ენის კრებულები

ერთიანი სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მრავალტიკის თეორიული კურსი და სავარჯიშოები.

ნამდვილი და მოგონილი ამბები

სერია „ნამდვილი და მოგონილი ამბები“ შექმნილია I-VI კლასების მოსწავლეებისათვის, „კითხვის საათის“ სპეციფიკის გათვალისწინებით. წიგნებში მოცემულია: სასალისო აქტივობები, მარტივი ინსტრუქციები, ასაკისთვის შესაბამისი ენით დაწერილი საბავშვო ტექსტები, რაც დაეხმარება კლასის დამრიგებელსა თუ მშობლებს, გაეცნოთ ბავშვების წერის, კითხვისა და მეტყველების ეტაპ-ჩვევები.

სერიის ფასი – 30.40₾

სიახლე

მოვემზადოთ საატესტატო გამოცდებისთვის

კრებულში შესულია პრეზენტაციით გათვალისწინებული თეორიული მასალა და ტესტები. გაღასაფხეკი ფენის ქვეშ მოთავსებულია უნიკალური კოდი. ეს კოდი შეიყვანეთ სპეციალურ აპლიკაციაში, რომელიც გთავაზობთ გამოცდამზის ოფიციალურ Facebook გვერდზე

fb.com/bakursulakauripublishing

ერთი კოდის გამოყენება შეუძლია მხოლოდ ერთ მოსწავლეს. ელექტრონული ტესტები შეიძლება ჩაბარდეს რამდენჯერაც თემების მისაღებით, ასევე შერეულად.

გაიხსენეთ თეორიული მასალა ამ წიგნის მისაღებით და მოაწყვეთ საატესტატო გამოცდების სიმულაცია სახლში!

თითოეული კრებულის ფასი – 9.90₾

კონკურსი უფროსკლასელთათვის

„ზღაპრები და ლეგენდები ბებიას სკივრიდან“ გახდი არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ქომაგი!

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ საფუძველი ჩაუყარა უფროსკლასელთა კონკურსს სახელწოდებით **„არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ქომაგი“**. წელს კონკურსი მეოთხედ იღებს სტარტს. თავად მიმართულების მრავალფეროვნებიდან გამომდინარე, ბუნებრივია, რომ ყოველწლიურად იცვლება კონკურსის თემატიკა. პირველად, 2012 წელს, კონკურსი ზოგად, გაცნობით ხასიათს ატარებდა. მომდევნო ორი წლის განმავლობაში კონკურსმა კონკრეტული ამოცანები დაისახა თემებით: **„ტრადიციული ხელსაქმე და ხელოსნობა“** და **„გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენების ტრადიციები საქართველოში“**.

წელს საქართველოს საჯარო და კერძო სკოლების უფროსკლასელებს ვთავაზობთ კონკურსს თემაზე **„ზღაპრები და ლეგენდები ბებიას სკივრიდან“**.

კონკურსის მიზანია:

❖ გამოავლინოს უხუცესების მეხსიერებაში შემონახული სხვადასხვა კუთხის უძველესი ზღაპრები და ლეგენდები, ზეპირსიტყვიერების სხვა ნიმუშები;

❖ გაზარდოს საზოგადოების, განსაკუთრებით ახალგაზრდების, ინტერესი მათი კუთხის არამატერიალური მემკვიდრეობის მიმართ;

❖ ჩართოს საქართველოს ახალი თაობა არამატერიალური მემკვიდრეობის ნიმუშების მოძიებასა და ფიქსაციაში;

❖ გაუღვივოს მათ ინტერესი წინაპრების კულტურისა და შემოქმედებისადმი.

კონკურსი მოეწყობა ორ ტურად:

პირველი ტური

გულისხმობს სკოლაში მოსწავლეთა ნამუშევრების პირველად სელექციას, რომელიც, სკოლის ადმინისტრაციის მიერ, საკონკურსო პირობების ყველა ნორმის დაცვით იქნება შერჩეული და გადმოგზავნილი მითითებულ ელმისამართზე (იხ. საკონკურსო ნიმუშის წარდგენის ფორმა), საჭიროების შემთხვევაში, სკოლის ხელმძღვანელობამ თავად უნდა გაუწიოს მოსწავლეს ტექნიკური დახმარება.

თითოეული ნაშრომი უნდა მოიცავდეს:

1. ვორდის ფაილში დაწერილ საკონკურსო ნამუშევარს;

2. მოსწავლეების მიერ მოთხრობილი ამბის მიხედვით ცალკე შესრულებულ (დახატული, გამოძერწილი, კონსტრუირებული და სხვ.) ილუსტრაციებს და მათი მაღალი ხარისხით გადაღებულ ფოტოებს (რაოდენობა შეზღუდული არ არის). ფოტოები უნდა გადმოიგზავნოს ვორდის ფაილში შესრულებულ ნაწერთან ერთად jpg ფორმატში;

3. ელემენტზე მუშაობის ამსახველი ფოტომასალა, გადმოგზავნილი ასევე jpg ფორმატით;

4. ვორდის ფაილში დაწერილი ნაშრომი გაფორმებული უნდა იყოს მონაწილის მიერ შესრულებული ილუსტრაციების ფოტოებით, რათა ნამუშევრების გადარჩევისას კომისიის წევრებს გაუადვილდეთ მათი შეფასება.

<u>სასურველია</u> ნიმუში ჩაიწეროს თქვენი რეგიონის (სოფლის, ქალაქის, ქუჩის, უბნის, ოჯახის, და ა.შ.) მკვიდრი მოსახლისაგან.

<u>სასურველია</u> მოძიებული და ჩაწერილი ნიმუში ფართე საზოგადოებისთვის ნაკლებად იყოს ცნობილი.

სკოლის შიდა შერჩევის შედეგად შერჩეული საუკეთესო ერთი ან რამდენიმე ნიმუში სკოლამ უნდა გადმოაგზავნოს:

❖ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოში ელფოსტაზე aramaterialuri@yahoo.com,

❖ ან გაზეთ „ახალი განათლების“ რედაქციაში,

❖ ან მოგვაწოდოს ფოსტით – „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო“, მისამართზე: თბილისი, 0105, თაბუკაშვილის ქ. 5.

საინტერესო ნაშრომების ავტორები მონაწილეობას მიიღებენ მეორე ტურში.

მეორე ტური

მეორე ტურში გადასული მოსწავლეები, კონკურსის ორგანიზატორების შენიშვნების გათვალისწინებით, ჩაასწორებენ ნიმუშებს და ხელახლა გადმოგზავნიან კონკურსის გამარჯვებულის გამოსავლენად.

გამარჯვებული ნიმუშების მიხედვით შედგება ილუსტრირებული კრებული, რომელიც გამოიცემა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ და საჩუქრად გადაეცემათ ავტორებსა და კონკურსში მონაწილე სკოლებს, ასევე სხვა დაინტერესებულ ორგანიზაციებს.

გამარჯვებული ავტორი (სკოლა, მასწავლებელი, მოსწავლე), საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ დაჯილდოვდება საგანგებო სიგელით და მიიღებს „არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ქომაგის“ წოდებას. ნამუშევრები გამოქვეყნდება გაზეთ „ახალ განათლებაში“. გაშუქდება მასმედიით.

საკონკურსო ნიმუშის წარდგენის ფორმა:

1. არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნიმუში – *დასახელება;*
2. იდეის ავტორი – *სახელი, გვარი;*
3. ხელმძღვანელი პედაგოგი – *სახელი, გვარი, საკონტაქტო ინფორმაცია (ტელეფონი, ელმისამართი);*
4. ქალაქი (რაიონი, სოფელი) და სკოლის სრული დასახელება;
5. სკოლის დირექტორი – *სახელი, გვარი, საკონტაქტო ინფორმაცია (ტელელეფონი, ელმისამართი);*
6. არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშის სხვა დასახელება (რამდენიმე დასახელების შემთხვევაში, მიუთითეთ ყველა სათაური და დაურთეთ კომენტარი);
7. ნიმუშის აღწერა.

აღწერისათვის უპასუხეთ შემდეგ კითხვებს:

❖ *რას წარმოადგენს თქვენ მიერ შერჩეული არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნიმუში (ზღაპარი, იგავი, თქმულება, ლეგენდა და ა.შ.) – მოკლე განმარტება ნიმუშის შესახებ;*

❖ *ნიმუშის სახელწოდება (აგრეთვე, მიუთითეთ თუ არის ცნობილი თქვენ მიერ აღწერილი ნიმუშის განსხვავებული, სხვა სახელწოდება);*

❖ *ნიმუშის ჩაწერის აღწერილობა – სად, როდის, რისთვის და ვის მიერ იქნა მოთხრობილი და ჩაწერილი ეს ნიმუში და ვისგან აქვს მოსმენილი თავად მის მთხრობელს;*

❖ *ტრადიციულად, რა დროს, რა შემთხვევაში ჰყვებოდნენ მას (ასეთის არსებობის შემთხვევაში, აღწერეთ გარემოება, როდესაც ჰყვებოდნენ ამ კონკრეტულ ნიმუშს);*

❖ *რას უკავშირდებოდა აღნიშნული ამბის თხრობა/გამოყენება/შესრულება;*

❖ *რა ატრიბუტები უკავშირდება/თან ახლავს მის თხრობას/გამოყენებას/შესრულებას (ასეთის არსებობის შემთხვევაში დააფიქსირეთ ფოტოზე);*

❖ *სხვა პირობები, რომელიც აუცილებელია აღნიშნული ნიმუშის თხრობის დროს;*

❖ *რა როლი ენიჭება თქვენ მიერ შერჩეულ ნიმუშს საზოგადოების კულტურულ, ან რელიგიურ, ან ყოველდღიურ ცხოვრებაში. დაასაბუთეთ შემოთავაზებული ნიმუშის მნიშვნელობა (უნიკალობა ან ორიგინალობა) პირადად თქვენთვის (რეგიონისთვის, სოფლისთვის, ოჯახისთვის, სკოლისთვის...), საზოგადოებისათვის;*

❖ **აღწერეთ თავად ნიმუში – სასურველია, სიტყვების საერთო რაოდენობა არ იყოს 500 სიტყვაზე ნაკლები.**

სპეციფიკის გათვალისწინებით წარმოდგენილ ნაშრომს უნდა ახლდეს შესაბამისი თვალსაჩინო მასალა: ფოტო, ვიდეო (შესაძლებლობის შემთხვევაში), ასევე ჩანახატი, ჩანახაზი, შაბლონი, სქემა, ესკიზი და სხვ.

ნამუშევრებს, სპეციალისტებთან ერთად, განიხილავენ არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ექსპერტები.

გადმოგზავნის ვადაა 2016 წლის 1 მარტი.

გვეკონტაქტეთ: სამუშაო დღეებში
(32)298-39-24, 13სთ-დან 15სთ-მდე
ან 599 08 40 03; 599 08 40 14;
aramaterialuri@yahoo.com
მაკა თაქთაქიშვილი, სალომე ხმიადაშვილი,
კოტე ნაცვლიშვილი

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს იუნესკოსა და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის არამატერიალური მემკვიდრეობის განყოფილება

საერთაშორისო კონფერენცია

ეროვნული სასწავლო გეგმის განვითარება და დანერგვა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) მხარდაჭერით, ესტონეთის განათლებისა და კვლევების სამინისტროს ფონდის „ინოვე“ (INNOVE) მონაწილეობით, 2015 წლის 8-9 დეკემბერს, გაიმართა საერთაშორისო კონფერენცია „ეროვნული სასწავლო გეგმა – განვითარება და დანერგვა“.

კონფერენციის მიზანი იყო ზოგადი განათლების სისტემაში ეროვნული და საერთაშორისო გამოცდილების განხილვა, ეროვნული სასწავლო გეგმების განვითარებისა და დანერგვის მიზნით. აღნიშნულ ღონისძიებას ესწრებოდნენ ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტები, ასევე განათლების სპეციალისტები, რომლებმაც ერთმანეთს ის საუკეთესო გამოცდილება გაუზიარეს, რაც მოსწავლეებში სასწავლო შედეგების გაუმჯობესებას უზრუნველყოფს. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ეროვნული სასწავლო გეგმის განვითარებისა და დანერგვის პროცესში არსებულ გამოწვევებს, ასევე, ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, საკლასო შეფასების საკითხებს.

კონფერენციაზე განხილულ იქნა საქართველოშო მოქმედი ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნები, მისი შესაბამისობა ეროვნულ საჭიროებებთან და საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებთან. კონფერენციის ფარგლებში, ადგილობრივმა და საერთაშორისო ექსპერტებმა ერთობლივად შეიმუშავეს რევიზირებული ეროვნული სასწავლო გეგმის საქართველოში დანერგვისთვის საჭირო რეკომენდაციები.

კონფერენციას ესწრებოდნენ საქართველოს განათლების სისტემის წარმომადგენლები, მათ შორის, პედაგოგები, სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლები, სასწავლო გეგმის ექსპერტები, განათლების მკვლევრები, ასევე, ესტონეთისა და ფინეთის სასწავლო გეგმის ექსპერტები.

თამარ სანიკიძე: *„დასრულდა ეროვნული სასწავლო გეგმის რევიზია. უკვე მზადაა I-VI კლასების სასწავლო გეგმა, მალე საბაზო საფეხურისაც დასრულდება. ძალიან ბევრი რამ შეიცვალა – სტრუქტურა, შეფასების სისტემა, საგნებს შორის დამყარდა კავშირები, ცალკე გამოეყო და დაჯგუფდა ის ელემენტები, რომლებიც აქამდე გაფანტული იყო კურიკულუმში. ვფიქრობ, ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტების ჩართულობით ისეთი ეროვნული სასწავლო გეგმის შემუშავება მოვახერხეთ, რომელიც, პირველ რიგში, ძალიან გასაგებ ენაზეა დაწერილი და მორგებულია ჩვენს საჭიროებებს, იმავდროულად, გათვალისწინებულია ყველა ის საერთაშორისო გამოცდილება, რომელიც უზრუნველყოფს ეროვნული სასწავლო გეგმის მოქნილობასა და განვითარებულობას. ეს ახალი სახელმძღვანელოების შექმნისა და გრიფირების პროცესის წარმატებით განხორციელების კარგი საწინდარია.*

პრიიდ ტურკი, ესტონეთის ელჩი საქართველოში: *„დღევანდელი კონფერენცია ესტონეთისა და საქართველოს თანამშრომლობის კიდევ ერთი მაგალითია. საქართველოსთან განსაკუთრებით მჭიდრო ურთიერთობა განათლების სფეროში გვაკავშირებს. ვთანამშრომლობთ როგორც პროფესიული განათლების, ასევე უმაღლესი განათლების მიმართულებით და მრავალ სხვა საკითხებში. ორივე მიმართულებით საქართველოს მთავრობას მკვეთრად გამოხატული პრიორიტეტები აქვს. ქართველ კოლეგებს ესტონეთში მიმდინარე განათლების რეფორმის გამოცდილებას ვუზიარებთ.*

დღევანდელი კონფერენცია ეროვნულ სასწავლო გეგმაზეა ფოკუსირებული და ვფიქრობთ, გამოცდილების გაზიარების ძალიან კარგი მაგალითია.“

ლეა ორო, საერთაშორისო ფონდ „ინოვოს“ დირექტორი: *„დღევანდელი კონფერენცია ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ვაპირებთ განვიხილოთ ეროვნული სასწავლო გეგმა და მის განვითარებაზე ვისაუბროთ. ეროვნული სასწავლო გეგმის შემუშავებაში ჩვენ ესტონეთის გამოცდილება გამოვიყენეთ. ეს დოკუმენტი ყველა ქვეყნისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ის მომავლის ნაწილია. კონფერენციის ფარგლებში, ასევე, ვისაუბრებთ ეროვნული სასწავლო გეგმის იმპლემენტაციის საკითხებზე. ამ კონფერენციით საბოლოოდ დავასრულებთ ეროვნულ სასწავლო გეგმაზე მუშაობას.“*

მაია ყუფარაძე, გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელი: *„დღევანდელი ღონისძიება მნიშვნელოვანია იმით, რომ აჯამებს განეულ სამუშაოს, იმ თანამშრომლობას, რომელიც წლების განმავლობაში მიმდინარეობდა. ამ პარტნიორობაში ძალიან აქტიურად მონაწილეობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ესტონეთის მთავრობა და გაეროს ბავშვთა ფონდი (UNICEF). ასეთი ნაყოფიერი თანამშრომლობისთვის და მიღწევებისათვის, ჩვენ მადლიერი ვართ ყველა იმ მონაწილესი, ყველა იმ ადგილობრივი თუ საერთაშორისო ექსპერტის, ვინც ჩართული იყო პროცესში, რომლის საფუძველზეც ადგილობრივ საჭიროებებზე მორგებული და საერთაშორისო კონტექსტით გათვალისწინებული რეკომენდაციები შემუშავდა სასწავლო გეგმების, კურიკულუმის რედაქტირებისათვის.*

თუკი გასული წელი I-IV კლასების სასწავლო გეგმის რედაქტირებას დაეთმო, წელს ექსპერტებმა, სკოლის წარმომადგენლებთან ერთად, იმუშავეს VII-IX კლასების სასწავლო გეგმის გადასინჯვაზე და დაწერეს რეკომენდაციები. ვაგრძელებთ ინტენსიურ მუშაობას, 2016 წელს ძალიან მკაფიო გეგმები გვაქვს და იმედია, ასეთი ნაყოფიერი თანამშრომლობით დასახული მიზნები მიღწეული იქნება.“

გამოცდები – 2016

პრაქტიკოს მასწავლებელთა საგნის გამოცდა

2016 წლის ზამთარში საგნის გამოცდის ჩატარების განრიგი

11 იანვარი:

• ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა და ბუნებისმეტყველება (I-IV);
• ქართული ენა და ლიტერატურა (I-VI);
• მათემატიკა (I-VI);
• ბუნებისმეტყველება (I-VI);
• ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები – წერითი ნაწილი.

12 იანვარი:

• მათემატიკა (VII-XII);
• ფიზიკა (VII-XII);
• ბიოლოგია (VII-XII);
• ქიმია (VII-XII);
• სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება;
• ინგლისური ენა (I- XII) – წერითი ნაწილი;
• რუსული ენა (I- XII) – წერითი ნაწილი;
• გერმანული ენა (I- XII) – წერითი ნაწილი;
• ფრანგული ენა (I- XII) – წერითი ნაწილი;
• ქართული, როგორც მეორე ენა (I- XII) – წერითი ნაწილი;
• ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები – პრაქტიკული ნაწილი.

13 იანვარი:

• ქართული ენა და ლიტერატურა (VII-XII);
• გეოგრაფია (VII-XII);
• ისტორია (VII-XII);
• სამოქალაქო განათლება (VII-XII);
• ინგლისური ენა (I- XII) – პრაქტიკული ნაწილი;
• რუსული ენა (I- XII) – პრაქტიკული ნაწილი;
• გერმანული ენა (I- XII) – პრაქტიკული ნაწილი;
• ფრანგული ენა (I- XII) – პრაქტიკული ნაწილი;
• ქართული, როგორც მეორე ენა (I- XII) – პრაქტიკული ნაწილი.

სიახლე მაშინ არის კარგი, როცა რაღაცას აუმჯობესებ

გვესაუბრება შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ისტორიის ჯგუფის წარმომადგენელი
მიხეილ ბახტაძე

მასალა მომზადებულია რადიო იმედის გადაცემის – „გამოცდებიდან გამოცდებამდე“ თეიკო ანჯაფარიძესთან ერთად – მიხედვით

2016 წლის ერთიან ეროვნულ გამოცდებზე, ისტორიის ტესტური დავალების ტიპები იგივე დარჩება, რაც 2015 წელს იყო. ამ მხრივ, კარდინალური ცვლილება არ იგეგმება.

2015 წელს შევამცირეთ მაქსიმალური ქულა – იყო 80 ქულა და 70-ზე ჩამოვიყვანეთ. ამ ცვლილებამ გაამართლა იმ თვალსაზრისით, რომ აბიტურიენტებმა უფრო კომფორტულად იგრძნეს თავი, რადგან მეტი დრო ჰქონდათ, დავალებების რაოდენობა კი ნაკლები იყო და უფრო მშვიდად იმუშავეს. ვფიქრობ, სწორი ნაბიჯი გადავდგით. ახლა ამის გაკეთება უკვე საჭირო აღარ არის და არც ვგეგმავთ. ქულების რაოდენობა ისევ 70 იქნება.

რაც შეეხება დროს, შესაძლოა ელექტრონულ ფორმაზე მუშაობისას აბიტურიენტებს მეტი დრო დასჭირდეთ, მაგრამ, ამ ეტაპზე დროის გაზრდას არ ვფიქრობთ – ორსაათ-ნახევარი გრძელდებოდა ისტორიის გამოცდა, რაც სავსებით საკმარისი იყო. ფაქტობრივად, ყველა აპლიკანტი, საათ-ნახევარში ან 2 საათში, ამთავრებდა ტესტს.

არც შინაარსობრივ ნაწილში იგეგმება რაიმე სიახლე. როგორიც იყო საგამოცდო პროგრამა 2015 წლისთვის, იგივე იქნება 2016 წელსაც.

ნაწილობრივ ელექტრონულ ფორმატზე გადასვლის გამო, დავალების ტესტს აბიტურიენტები მონიტორზე ნახავენ, პასუხების ფურცელი როგორიც იყო, ისეთი დარჩება. პასუხების დაფიქსირება მათ პასუხების ფურცელში მოუწევთ და ისევე გასწორდება, როგორც აქამდე სწორდებოდა. ამ მხრივ არავითარი სიახლე არ იქნება.

სიახლე იქნება მხოლოდ ის, რომ თუ აქამდე ტესტი ბუკლეტის სახით ჰქონდათ, ახლა მონიტორის ეკრანზე იხილავენ. ტესტების ელექტრონული ვერსიები უკვე გამოქვეყნებულია ცენტრის ვებგვერდზე. აქვეა გარკვეული რეკომენდაციები და რჩევები აბიტურიენტებისთვის, მაგალითად: *თუ გსურთ პასუხების ფურცელზე მონიშნული პასუხის გადასწორება, მთლიანად გააფერადეთ უჯრა, მაგრამ, ამავე დროს, შეუძლებელია, ხელმეორედ აირჩიოთ ის პასუხი, რომელიც გადაასწორეთ.* ეს ჩანაწერი დავალების პირველ ტიპს ეხება, ე.წ. არჩევითბოლოიან დავალებას, როდესაც არის კითხვა და 4 სავარაუდო პასუხი. ამ შემთხვევაში, აპლიკანტებმა უჯრაში უნდა ჩაწერონ პასუხი. თუ ჩათვლიან, რომ ის უჯრა, რომელშიც X ნიშანი ჩაწერეს, არ არის მართებული, შეუძლიათ მთლიანად შავად გააფერადონ. მერე თუ მოიფიქრებენ, რომ ის პასუხი სწორი იყო, ვეღარ მიუბრუნდებიან. ასეთ შემთხვევაში, ალბათ, მოუწევთ პასუხის ფურცლის გამოცვლა. ამიტომ, ჯობია ნუ იჩქარებენ პასუხის წაშლას, კიდევ ერთხელ გადაამოწმონ, რამდენად ზუსტად აქვთ გაცემული პასუხი და მერე მიიღონ გადაწყვეტილება. ეს, როგორც გითხარით, პირველი ტიპის დავალებას ეხება.

დანარჩენი ტიპის დავალებებში მათ შეუძლიათ გადაშალონ ძველი და ჩაწერონ ახალი პასუხი, ოღონდ უნდა ჩაწერონ ისე, რომ გარკვევით ჩანდეს და გამსწორებელმა შეძლოს წაკითხვა.

ერთ-ერთი ინსტრუქცია ასეთია: *წერეთ გარკვევით და იმყოფინეთ პასუხებისთვის განკუთვნილი ადგილი.* აბიტურიენტებმა უნდა იცოდნენ, პირველი – თუ გაურკვევლად წერეს, უბრალოდ, ვერ შევძლებთ ნამუშევრის წაკითხვას და მეორე – ადგილი, რომელსაც მათ პასუხის ჩასაწერად ვაძლევთ, სრულიად საკმარისია. თუ იმაზე მეტს წერენ, შემდეგ, პასუხების ფურცლის ტექნიკურად დამუშავებისას, თითოეული დავალება იჭრება გარკვეულ ზომაზე და, თუ ამ ზომის ფარგლებს გარეთ გადის პასუხი, მისი წაკითხვა რთულია. რა თქმა უნდა, ვახერხებთ, მაგრამ იქმნება გარკვეული ტექნიკური პრობლემები. ამიტომ ჯობია, იმყოფინონ ის ადგილი, რაც გამოყოფილია, წერონ გარკვევით და, რაც მთავარია, აზრი ჩამოაყალიბონ ზუსტად და სრულად. არის შემთხვევები, როცა დავალებებში, სადაც მათგან მოვითხოვთ არგუმენტირებულ მსჯელობას და საკუთარი პოზიციის დაფიქსირებას, იწყებენ მსჯელობას, მაგრამ აღარ ასრულებენ. ამ შემთხვევაში, გამსწორებლისთვის გაურკვეველი რჩება, რისი თქმა სურდა აპლიკანტს – აზრი დაწყებულია, მაგრამ არ არის დასრულებული. ამ შემთხვევაში, არასრულყოფილ პასუხს ვერ ვაფასებთ. ინსტრუქციაშიც ხაზგასმული გვაქვს – *პასუხი გაეცით კონკრეტული და ამომწურავი.* აბიტურიენტებმა ეს აუცილებლად უნდა გაითვალისწინონ. მოცულობას მნიშვნელობა არ აქვს, მთავარია აზრი იყოს დასრულებული და გამსწორებელი რომ წაიკითხავს, მიხვდეს რაზეა საუბარი.

შავი სამუშაოსთვის აბიტურიენტებს დაურიგდებათ ფურცლები. აქამდე ისინი იყენებდნენ თავისუფალ ადგილებს ტესტის ბუკლეტში. რადგან ახლა ბუკლეტი აღარ ექნებათ და დავალებებს ეკრანზე ნახავენ, ბუნებრივია, შავი სამუშაოსათვის დაურიგდებათ ფურცლები, სადაც ჩაწერენ სავარაუდო პასუხს, მოხაზავენ და შემდეგ პასუხების ფურცელში გადაიტანენ.

გეოგრაფიის გამოცდისთვის მოსამზადებლად, აბიტურიენტებმა უნდა გამოიყენონ XI-XII კლასების სახელმძღვანელოები, რომლებიც გრიფირებულია განათლების სამინისტროს მიერ და რომლებიც გამოიყენება ჩვენს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში. არსებობს ალტერნატივები – მე-11 კლასში არის 2 სახელმძღვანელო, მე-12 კლასშიც – 2. არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, რომელს აირჩევენ. აიღონ ის სახელმძღვანელო, რომლითაც სკოლაში სწავლობენ. არის შემთხვევები, როდესაც სკოლის მასწავლებლები ან ახლობლები ურჩევენ სხვა წიგნს თუ სახელმძღვანელოს. რა თქმა უნდა, რაც უფრო მეტ წიგნს წაიკითხავენ, უკეთესია, მეტი ეცოდინებათ და უფრო განათლებულები იქნებიან, მაგრამ გამოცდისთვის სავსებით საკმარისია სკოლის სახელმძღვანელოები – XI-XII კლასების ნებისმიერი ალტერნატივა. კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ აბიტურიენტებმა უნდა ისწავლონ იმ სახელმძღვანელოებით, რომლებიც მათ სკოლაში აქვთ და, ამ მხრივ, არანაირი პრობლემა არ ექნებათ.

აბიტურიენტებს ვურჩევ, პირველ რიგში, არ იჩქარონ. ჰგონიათ ხოლმე, რომ ისტორიის ტესტი მარტივია, უცებ წაიკითხავენ და არ უკვირდებიან, რას ვეკითხებით. ნუ იჩქარებენ, მშვიდად, წყნარად წაიკითხონ, დაუფიქრდნენ, რას ვეკითხებით და შესაბამისად გვიპასუხონ.

რატომღაც ილუსტრაციები ინვევს მათ შიშს, არადა საშიში არაფერია. თავს იმით იმართლებენ ხოლმე, რომ ეს ილუსტრაცია სკოლის წიგნში არ იყო. ჩვენ არ ვამოწმებთ ილუსტრაციებს სკოლის წიგნში, ამის ცოდნა მათ ევალებათ – უნდა იცოდნენ წყაროს ანალიზი. წყარო არ არის მხოლოდ წერილობითი, არის ვიზუალურიც (იგივე ილუსტრაცია). აპლიკანტებს უნდა შეეძლოთ ილუსტრაციიდან ინფორმაციის ამოღება. რასაც ჩვენ ვეკითხებით, იმის პასუხი ილუსტრაციაში დევს, უბრალოდ საჭიროა დაკვირვება, ინფორმაციის მოძიება, შემდეგ გადამუშავება, გააზრება და პასუხების ფურცელში დაწერა. საკმაოდ ადვილი დავალებაა. ასე რომ, ნუ ეშინიათ.

მესამე წელია, რაც ეს დავალება გვაქვს, ასე რომ, ახალი არ არის. პრობლემა, ჩემი აზრით, იმაში მდგომარეობს, რომ, სამწუხაროდ, მასწავლებელთა ნაწილი ამ ტიპის დავალებებზე მუშაობას ყურადღებას არ აქცევს. ძირითადად, ძველი მეთოდით მუშაობენ – იყენებენ წერილობით წყაროებს. იმას, რომ ილუსტრაციაც – პლაკატი, აფიშა, რუკა – წყაროა და ძალიან საინტერესო ინფორმაციებს შეიცავს, ყურადღებას არ აქცევენ. აი, ეს არის პრობლემა, ამ მხრივ არ მიმდინარეობს მუშაობა.

გვაქვს დავალების ერთი ტიპი, რომელშიც სიტუაციის მოდელირებას ვახდენთ და ვთხოვთ აბიტურიენტს, მოიყვანოს არგუმენტები: 1 – მომხრის, 1 – მოწინააღმდეგის. მან უნდა იცოდეს, როგორი იყო ფაქტობრივი ვითარება და ამის შემდეგ უნდა წამოაყენოს არგუმენტები. ეს 2-ქულიანი დავალებაა – ერთი ქულა არის მომხრის არგუმენტის, მეორე – მოწინააღმდეგის. გვქონდა შემთხვევები, როდესაც ტესტში ამ ტიპის ერთი დავალება გვქონდა, იყო შემთხვევები, როცა ორი იყო. 2016 წელს რამდენი იქნება, ზუსტად ვერ გეტყვით, მაგრამ ამ ტიპის დავალება აუცილებლად იქნება.

როდესაც წერილობითი წყაროს ანალიზს ვაძლევთ, იქაც ვითხოვთ აბიტურიენტისგან საკუთარი პოზიციის გამოხატვას და არგუმენტის მოყვანას. იგივე ხდება, ვთქვათ, რუკაზე მუშაობისას, ასე რომ, დაახლოებით 5-6 კითხვაა, რომელიც აბიტურიენტისგან მოითხოვს, იმ ფაქტობრივი ცოდნის ბაზაზე, რაც მას აქვს, შეძლოს ამ ყველაფრის კრიტიკულად გააზრება და ამა თუ იმ ფაქტისადმი ან მოვლენისადმი საკუთარი დამოკიდებულების არგუმენტირებულად გადმოცემა. გასწორებისას ყურადღება ექცევა არა იმას, გამსწორებელი იზიარებს თუ არა აპლიკანტის მოსაზრებას, არამედ იმას, რამდენად სწორია მისი არგუმენტი, რამდენად ლოგიკურად გადმოსცემს მას და, რაც მთავარია, აბიტურიენტმა არ უნდა დაუშვას ფაქტობრივი შეცდომა. როგორც კი აპლიკანტები ფაქტობრივ შეცდომას უშვებენ, მათი პასუხი ნულდება. ფაქტობრივი შეცდომის დაშვების შემთხვევაში, ცხადია, არგუმენტიც უკვე არ იქნება ლოგიკური.

გასწორების პროცესი წელს ისევე წარიმართება, როგორც წინა წლებში. ნაშრომი ორჯერ სწორდება და იმ შემთხვევაში, თუ არის განსხვავება პირველ და მეორე გამსწორებელს შორის, მიდის მესამე გამსწორებელთან. გარდა ამისა, ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ აპლიკანტებს შეუძლიათ ნახონ თავიანთი ნაშრომი – ნახონ ტესტიც და შეფასების სქემაც. თუ მაინც ეჭვი შეეპარებათ იმაში, რომ მათი ნაშრომი არაობიექტურადაა შეფასებული, შეუძლიათ გააპროტესტონ და კიდევ ერთხელ, მეოთხედ, გასწორდება საპროტესტო კომისიის მიერ.

რაც შეეხება პედაგოგთა გამოცდებს, არანაირ ცვლილებას არ ვგეგმავთ. ვინც აქამდე ჩააბარა ისტორიის გამოცდა და ვინც იანვარში ჩააბარებს – ერთი ტიპის გამოცდა უნდა ჩააბარონ, ამიტომ რაიმე რევოლუციურ სიახლეს მათ ვერ შევთავაზებთ. ამ მხრივ, პედაგოგებს შეუძლიათ მშვიდად იყვნენ. იქნება მხოლოდ ის, რაც ამდენი წელია ბარდება და მათთვის კარგად უნდა იყოს ნაცნობი.

სიახლე არც საატესტატო გამოცდებზე იგეგმება, პროგრამა იგივეა, რაც შარშან იყო. რა ტიპის დავალებები იყო გასულ წლებში, ამის ნახვა მსურველებს ჩვენს ვებგვერდზე შეუძლიათ.

ზოგადად, სიახლის შეთავაზება თვითმიზანი არ არის, სიახლე კარგია, როცა რაღაცას აუმჯობესებ. ჩვენ შემთხვევაში, ვფიქრობთ, ის, რაც გვაქვს, ამ ეტაპზე, წაყენებულ მოთხოვნებს აკმაყოფილებს.

მოამზადა ლალი თვალაბეიშვილმა

იუბილე

ზურაბ ვახანია 60 წლისა შესრულდა

ზურაბი 60 წლისა გახდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ღვაწლმოსილ და საქვეყნო საქმეებზე გადაგებულ ადამიანს თანამედროვენი იშვიათად თუ მიაგებენ საკადრის პატივს (მარტო ილიას მაგალითის გახსენებაც კმარა, სხვებზე რომ არაფერი ვთქვათ). ვინც ზურაბს ახლოს იცნობს (და არა შორიდან, ზედაპირულად), დამეთანხმება, რომ ასეთი ადამიანები საუკუნეში ერთეულები იბადებიან.

„ზურაბ ვახანია იმ თითო-ოროლა ქართველთა შორისაა, რომლებიც ღირსეულად განაგრძობენ იაკობ გოგებაშვილის, ილია ჭავჭავაძის, ივანე ჯავახიშვილისა და დიმიტრი უზნაძის საქმეებს.“ – **ნოდარ ვალიშვილი**, პროფესორი, ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ყოფილი რექტორი, ქუთაისის ყოფილი ექსპერიმენტული სკოლის დამაარსებელი და დირექტორი.

ვგულისხმობ ზურაბის არა მარტო პიროვნულ თვისებებს, არამედ მრავალმხრივ და სიღრმისეულ განათლებულობას მრავალი მიმართულებით: მათემატიკა, ფილოსოფია, ფსიქოლოგია, ლოგიკა, ქართული ენა და ლიტერატურა, კულტურის ისტორია... შექმნილი აქვს მუსიკალური, პოეტური და პროზაული ნაწარმოებები. მრავალი ხელობაც იცის: ელექტროტექნიკა, დურგლობა, ხუროობა, შედუღება... უვლის ბაღ-ბოსტანს და ვაზს...

ზოგნი ამას ეჭვით უყურებენ – როგორ შეიძლება, რომ ერთმა ადამიანმა ამდენი რამე ისე იცოდეს, სახელმძღვანელოებსა და გამოკვლევებს წერდესო. მაგრამ ვისაც ეს სახელმძღვანელოები გამოუყენებია, ვისაც მისი გამოკვლევები წაუკითხავს (ოღონდ ზერელედ კი არა – გონების თვალით), დამეთანხმება, რომ დიდ სიღრმეებსა და გაბედულ შემოქმედებას, გამჭრიახი გონების აღმოჩენებსა და რკინისებურ ლოგიკას ვეზიარებით.

ზურაბს გამოქვეყნებული აქვს: 36 სახელმძღვანელო (მათემატიკა, ქართული ენა, ლოგიკა-რიტორიკა, კულტურის ისტორია - რელიგიები, განათლების ფსიქოლოგია); 5 მონოგრაფია (მათ შორისაა ორტომეული „ქართული ფილოლოგია“); ტესტების 12 კრებული (სათანადო სპეციალისტების თანაავტორობით); 80-ზე მეტი სამეცნიერო სტატია; ამაზე მეტი ნარკვევი პოპულარულ ჟურნალ-გაზეთებში. ნაშრომთა თემატიკაა: ზოგადი და პედაგოგიკური ფსიქოლოგია, ლოგიკური აზროვნება, ინტუიცია, ცოდნა, სწავლების მეთოდიკა; არაცნობიერის თეორია კ. გ. იუნგისა; განწყობის თეორია დ. უზნაძისა; ფსიქოლინგვისტიკა და ეთნოფსიქოლოგია, ფილოსოფია და კულტურის ისტორია, ქართული ენათმეცნიერება. ინგლისურიდან ნათარგმნი აქვს კ. გ. იუნგის წიგნი „4 არქეტიპი“, მისთვის დაწერილი აქვს შესავალი და განმარტებანი.

„ზურაბ ვახანია მიმაჩნია იმ მეცნიერად, ვის ზეც ვამყარებ ქართული ფსიქოლოგიის სამერმისო განვითარების იმედებს.“ – **შოთა ნადირაშვილი**, აკადემიკოსი, ფსიქოლოგი.

კომუნისტების ხანაში ზურაბი დისიდენტობდა, პრინციპულად არ გაწევრიანდა კომუნისტურ პარტიაში და ეროვნულ მოძრაობაში მონაწილეობდა. ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტობის ხანაში ზურაბი განათლების სამინისტროს ეროვნული სკოლის რეფორმის სამმართველოს უფროსი და განათლების მინისტრის სამეცნიერო რეფერენტი იყო. მაგრამ სამოქალაქო დაპირისპირების პირობებში ვერ მოხერხდა განათლებაში არსებით ცვლილებათა გატარება. ამიტომ ზურაბი ჩამოშორდა პოლიტიკას, მიუხედავად იმისა, რომ იქ წარმატების მიღწევის დიდი შესაძლებლობა ჰქონდა – 1990-იან წლებში ჩვენში ცოტამ თუ იცოდა კარგად კომპიუტერი და ინგლისური, რამდენიმე პარტია სთავაზობდა თანამშრომლობას; ზურაბის მამა, აკადემიკოსი ნიკო ვახანია, მსოფლიოში ცნობილი მათემატიკოსი და „ცესკოს“ ხუთეულის წევრი იყო; ზურაბს ასევე შეეძლო უცხოეთში გადასახლება. სხვათა შორის, ზურაბის ძმა ნოდარი, უკვე 25 წელია, მექსიკაში ცხოვრობს, იქაური მოქალაქეა, მექსიკის მთავარი უნივერსიტეტის პროფესორია და ხუთივე კონტინენტი აქვს შემოვლილი სამეცნიერო მივლინებებით; ზურაბი კი სულ საქართველოში მოგზაურობს, ყველა კუთხის შორეულ სოფლებშიც ატარებს ტრენინგებს, ზაფხულობით კი მთებში დადის ფეხით (განსაკუთრებით უყვარს ბუნება).

„სულმოუთქმელად წავიკითხე ზურაბ ვახანიას ეს ვრცელი თხზულება. ჩანს ავტორის საფუძვლიანი და მრავალმხრივი განსწავლულობა, ღრმა ფილოსოფიური აზროვნება, თავისებური სტილი, მდიდარი და ლაღი ენა. თხზულება იმდენად თავისთავადი და განუმეორებელია, იმდენად არ ჰგავს სხვა არაფერს, რომ ჩვეულებრივ რეცენზიას ვერ დავწერ. მოკლედ ვიტყვი: აღარ მახსოვს, ასეთი კარგი რამ უკანასკნელად როდის წავიკითხე.“ – **ნიკო ჭავჭავაძე**, აკადემიკოსი, ფილოსოფოსი.

ზურაბი წერდა: *„ეროვნულ მოძრაობაში მონაწილეობის დროსვე განვჭვრიტე, რომ საქართველოს მთავარი უბედურება არც საბჭოთა კავშირი იყო, არც სხვა გარე მტრები – არამედ გაუნათლებლობა (რაც მოიცავს არასაკმარის ზოგად ცოდნას, არასაკმარის პროფესიულ ცოდნა-უნარჩვევებს, სამოქალაქო შეგნებისა და ზნეობის დაბალ დონეს და პიროვნულ განუვითარებლობას, ანუ უნდილობას, ანუ ინფანტილიზმს). სწორედ ამიტომ მეგობრის მიერ შეკერილი ეროვნული დროშა, მიტინგებზე რომ ფრიალებდა, სკოლის დროშად ვაქციე, მოსწავლეები ატარებდნენ ხოლმე „ალილოს“ დღესასწაულზე (ახლა სადღაც კუთხეშია უქმად). რამდენიმე თანამოაზრესთან ერთად, საკუთარი ხელით ვაჭედებდი ძველ მერხებს, ვაწებებდი სასწავლო თვალსაჩინოებას (კუპონებით ნაყიდი ან სარდაფებში მოძიებული მასალებით), ვაკეთებდი ძველ ნავთქურებს (რომლებისთვისაც ხშირად ნავთი არ გვქონდა, საკლასო ოთახში წყალი იყინებოდა, ყველანი ხელთათმანებით ვისხედით); კარდაკარ მათხოვრობით ვშოულობდი კაპიკებს, რათა კუსტარულად დამებეჭდა სახელმძღვანელოები, ვებრძოდი სამინისტროს კომისიებს, საერთო ენას ვპოულობდი ან ვერ ვპოულობდი ანჩხლ მშობლებთან, აგრეთვე თანამდებობის პირებთან. მათ კაბინეტებთან საათებს ვატარებდი... (კიდევ კარგი, ჩემი საქმის კეთება ამ დროსაც რომ შემიძლია – ჩანთით დავატარებ სამუშაოს...). ორ წელიწადს სულ უხელფასოდ ვმუშაობდი, სამ წელიწადს სკოლა სანახევროდ დერეფნებში მუშაობდა“.* ასეთ პირობებში შეიქმნა ზურაბ ვახანიას ცნობილი სახელმძღვანელოები; შეიქმნა და დაიხვეწა საავტორო სკოლის წესდება, შინაგანაწესი, სასწავლო გეგმები, შეფასების ორიგინალური სისტემა... მიუხედავად ყველაფრისა, ეს სკოლა გასაოცარ შედეგებს აჩვენებდა წლების განმავლობაში. 2011 წელს ამ სკოლის მე-12 კლასმა (მიერთებული იყო თბილისის 171-ე სკოლასთან) პირველ სახელმწიფო საატესტატო გამოცდებზე საქართველოში უმაღლესი საშუალო შედეგი აჩვენა; 2012 წელს ამ სკოლის ყველა მასწავლებელი უკვე სერტიფიცირებული იყო (კვლავ საქართველოში უმაღლესი შედეგი); 1998 წელს, პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თაოსნობით, სპეციალური კომისიაც კი შეიქმნა, რომელმაც შეისწავლა ვახანიას საავტორო (მაშინ მე-4 ექსპერიმენტული) სკოლის მუშაობის რეალური შედეგები – მოსწავლეთა ცოდნისა და განვითარების დონე, 10 სახელმწიფო და კერძო ტიპური სკოლის მოსწავლეებთან შედარებით. კომისიის ოფიციალურ დასკვნაში წერია: *„ქ. თბილისის მე-4 ექსპერიმენტულ სკოლაში პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორის ზ. ვახანიას ხელმძღვანელობით მიმდინარეობს სერიოზული სამეცნიერო-პედაგოგიკური საქმიანობა. სკოლაში შეიქმნა 12 ახალი სახელმძღვანელო, რომლებმაც დიდი მოწონება დაიმსახურა მრავალი ცნობილი მეცნიერისა და პრაქტიკოსი პედაგოგის მხრიდან. მათგან ზოგმა სახელმძღვანელომ პირველი ადგილი დაიკავა განათლების სამინისტროს კონკურსში და დამტკიცებულია ახალ სასკოლო სახელმძღვანელოებად მთელი საქართველოსათვის. გარდა ამ სახელმძღვანელოებისა, სკოლაში ინერგება და იხვეწება სწავლების ახალი მეთოდიკა, რამდენიმე ახალი პროგრამა, მოსწავლეთა ცოდნის შეფასების ახალი სისტემა და სხვა მრავალი პედაგოგიკური სიახლე...* ***ექსპერიმენტული კლასების მოსწავლეები მკვეთრად სჯობნიან მათ თანატოლებს ტიპური სკოლებიდან ყველა მაჩვენებლით (ცოდნა, აზროვნება, შემოქმედებითობა, პიროვნული განვითარება, პატიოსანი დამოუკიდებელი მუშაობის ჩამოყალიბებული უნარ-ჩვევები).***

ზ. ვახანიას მიერ შექმნილი საგანმანათლებლო სისტემა უნდა შეფასდეს, როგორც ძალიან კარგი, სიცოცხლისუნარიანი და პერსპექტიული; ესაა სამოდელო სისტემა, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოს სასკოლო განათლების რეფორმისათვის, კერძოდ, სასწავლო შინაარსის განახლების საქმისათვის. ამ სისტემის სათანადო განვითარებასა და დანერგვას ყოველნაირად უნდა შეეწყოს ხელი.“ – აკადემიკოსი **ნოდარ ამაღლობელი**, კომიტეტის თავმჯდომარე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ყოფილი რექტორი.

ხელშეწყობას ვინ ჩივის – წინა მთავრობამ, დემოკრატიისა და პროგრესის დროშის მოფრიალე მთავრობამ, ზურაბ ვახანიას საავტორო (ყოფილი 38-ე) სკოლა დახურა, თავად ზურაბს კი, პროფკავშირთან თანამშრომლობისა და ოპოზიციურ შეხედულებათა გამო, სასჯელი შეუფარდა – 4 წლის განმავლობაში პრობაციონერი იყო (სხვათა შორის, ამის შესახებ ერთ-ერთმა გაზეთმა სტატიაც გამოაქვეყნა: „სასამართლოს კურიოზები“).

ზურაბ ვახანიას აზრით, კარგი სწავლების სამი ყველაზე აუცილებელი პირობაა: 1. **ფსიქოლოგიზმი** და ბავშვზე სათუთი ზრუნვა, დიფერენცირებული მიდგომა, ფაქიზი დაკვირვება იმაზე, თუ რამდენად ძლევს ბავშვი სასწავლო პროგრამას და ეს „დაძლევა“ უაზრო სქოლასტიკური გაზეპირება ხომ არაა, ბავშვის გადაძაბვასა და ნევროზს ხომ არ იწვევს; 2. ამ პირობებში **მრავალმხრივი სიღრმისეული სწავლება**; 3. **შემოქმედებითი სწავლება**. სწორედ ამის გათვალისწინებით შექმნა მეცნიერმა სწავლების ახალი, „აქტიური მზაობის მეთოდიკა“. ის ემყარება დიმიტრი უზნაძისა და ჟან პიაჟეს ფსიქოლოგიურ თეორიებს და ვახანიას გამოკვლევებს აზროვნების ფსიქოლოგიაში; რეალურად და თანმიმდევრულად ახორციელებს კონსტრუქტივიზმისა და ევრისტიკის პრინციპებს (პირველად საქართველოში); ეს მეთოდიკა ახალია არა მარტო საქართველოსთვის, არამედ, საზოგადოდ, მსოფლიო მეცნიერებისთვისაც. მან უცხოელ მეცნიერთა გამოხმაურება და მოწონებაც დაიმსახურა. ეს მეთოდიკა არ იფარგლება მხოლოდ თეორიული მსჯელობებით – მის საფუძველზე ავტორმა შექმნა კონკრეტული სასწავლო პროგრამები და სახელმძღვანელოები.

„ზურაბ ვახანიას სახელმძღვანელოები გამოირჩევა ღრმა აზროვნების, შემოქმედებითობისა და ნამდვილი „ეროვნული სულისკვეთების“ შერწყმით (ეროვნულობა არა პატრიოტული ლოზუნგებით, არამედ „სამყაროს ქართულენოვანი სურათის აგებით“). ეს ყოველივე ორიგინალურ „აქტიური მზაობის მეთოდიკაზეა“ დამყარებული.“ – **ზურაბ კიკნაძე**, პროფესორი, ფილოლოგი, კულტუროლოგი.

ზურაბ ვახანიას სახელმძღვანელოებს მრავალი ღირსება ახასიათებს: გამართულია ფსიქოლოგიური კუთხით - მორგებულია ბავშვის ასაკობრივი განვითარების დონეებს (მასალის შერჩევა, დოზირება, დამუშავების ფორმა...); ახლავს მრავალფეროვანი დავალებები, იმდენი, რომ მასწავლებელს არ სჭირდება რაიმე დამატებითი მასალის მოძიება. ეს დავალებები სხვადასხვა სიძნელისა და სხვადასხვა სააზროვნო დონისაა და იძლევა დიფერენცირებული მიდგომის საშუალებას. მთავარი კი ისაა, რომ მოსწავლეს წიგნზე დამოუკიდებელ მუშაობას, მრავალმხრივ აზროვნებასა და შემოქმედებითობას აჩვევს. თვალშისაცემია მოსწავლის დიდი აქტიურობა, მისი ინტერესის გაღვივება სახალისო და მცირე შემოქმედებითი ძიებებით; ყოველი საკითხის შესწავლის წინ ხდება სათანადო მოტივაციური და ინტელექტუალური მზაობის (განწყობის) შექმნა და, რაც მთავარია, სწავლება არა მასწავლებლის მიერ ახსნით, არამედ კონსტრუქტივისტულად ან ევრისტიკულად. აქტიური მზაობის მეთოდიკის მეშვეობით მოხერხდა აქტიურ-შემოქმედებითი სწავლების ნამდვილი და თანმიმდევრული განხორციელება.

ზურაბ ვახანია – პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, განათლების მეცნიერებათა აკადემიკოსი, ფსიქოლოგიის პროფესორი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი; „საუკეთესო შედეგების მქონე სერტიფიცირებული მასწავლებლის“ სახელმწიფო სტატუსის მქონე 6 დარგში: ქართული ენა-ლიტერატურა, მათემატიკა, დაწყებითი განათლება, სამოქალაქო განათლება, რუსული ენა და ინგლისური ენა.

სხვადასხვა წლებში მუშაობდა მეცნიერებათა აკადემიის ა. რაზმაძის სახ. მათემატიკის, არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების, ს. წერეთლის სახ. ფილოსოფიის ინსტიტუტებში. სამივე ამ დარგში გამოქვეყნებული აქვს ნაშრომები, მიღებული აქვს ახალი სამეცნიერო შედეგები: ფუნქციონალურ ანალიზში ერგოდულობის თეორემის დაზუსტება; ახალი ქართველური ეტიმოლოგიები; ქართული ზმნის მორფოსინტაქსის, ქართული ფონეტიკის, მორფოლოგიისა და სინტაქსის საკითხები; ბგერწერის კანონზომიერებები და სიტყვის ფონეტიკური ფორმის პირველადი მოტივირებულობა მნიშვნელობით; ქართულ წინადადებაში რიტორიკულ-აზრობრივი მახვილის დასმის სინტაქსური საშუალებები; ფილოსოფიური ონტოლოგიის ენობრივი საფუძველი; ტრანსცენდენტაციის ცნების დაზუსტება; ნაციონალიზმის, გლობალიზმისა და შოვინიზმის იდეოლოგიების ფსიქოლოგიური საფუძვლები. დ. უზნაძის სახ. ფსიქოლოგიის ინსტიტუტში ჯერ პედაგოგიკური ფსიქოლოგიის განყოფილების გამგე იყო, შემდეგ კი – დირექტორის მოადგილე. ყველაზე მეტი სამეცნიერო შედეგი ფსიქოლოგიაში აქვს მიღებული – გამოკვლევა ინტუიციის ფსიქოლოგიური არსისა; არაცნობიერი აღქმისა; მითოსური აზროვნების ახალი კანონზომიერებისა; ქართული ენის სიღრმისეულ თავისებურებათა (ფსიქოლოგიზმისა); დიმიტრი უზნაძისეული განწყობის თეორიის განახლებული, დიალექტიკური მოდელი; ა. მასლოუს თეორიის შევსებულ-გადამუშავებული მოდელი.

იყო თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახ. უნივერსიტეტის პროფესორი, პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ექსპერტ-კონსულტანტი. ამჟამად დ. უზნაძის სახ. საქართველოს ფსიქოლოგთა საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილეა, წმ. ანდრია პირველწოდებულის სახ. ქართული უნივერსიტეტის პროფესორი, არასამთავრობო საგანმანათლებლო-შემოქმედებით კავშირ „ქორბუდას“ თავმჯდომარე; ფსიქოლოგ-კონსულტანტი და ფსიქოთერაპევტი; სკოლების სამეცნიერო მრჩეველი; სსიპ თბილისის 171-ე სკოლის წრის ხელმძღვანელი (ფსიქოლოგია და ეთიკა, ქართული ენა, რიტორიკა, ლოგიკა, კულტურის ისტორია); აშშ-ს საერთაშორისო პროექტის „US-AID – GPried“ (დაწყებითი განათლების რეფორმა) ექსპერტი და მწვრთნელი; მასწავლებელთა ტრენინგების ხელმძღვანელი (გავლილი აქვს 2500-ზე მეტ მონაწილეს).

***„მრავალ ტრენინგს ვესწრებოდი სხვადასხვა დროს, ბატონი ზურაბის ტრენინგები მათგან საუკეთესოა. ამ ტრენინგებმა არა მარტო ღრმა ცოდნა შემძინა, არა მარტო საჭირო უნარ-ჩვევები განმივითარა, სხვანაირად დავიწყე სამყაროს ხედვა, სხვანაირი გავხდი, შინაგანად გავიზარდე, თვითგანხორციელება, ძლიერი მიღმასწრაფება ვიგრძენი (როგორც ბატონი ზურაბი ამბობს ხოლმე)... სხვანაირი გახდა ჩემი ურთიერთობა შვილებთან, მოსწავლეებთან, ოჯახის წევრებთან, სხვებთან; სხვანაირი გახდა ჩემი ურთიერთობა საკუთარ თავთან... ბატონი ზურაბის პიროვნულ მაგალითსაც დიდი გავლენა აქვს, ის პიროვნებაა ამ სიტყვის ყველაზე მაღალი და ყველაზე ღრმა აზრით, მისი ცხოვრება ყველაზე წრფელ მოძღვრებათა განხორციელებაა... ეს ტრენინგები კი არა, ცხოვრების სკოლა იყო... ღრმა განათლების, მეცნიერების, სილამაზის, შემოქმედების დღესასწაული...“* **– ტრენინგების მონაწილე მასწავლებელთა შთაბეჭდილებებიდან.**

ჰყავს ორი შვილი (ორივე ფსიქოლოგი, გამორჩეული ახალგაზრდები) და შვილიშვილი.

„ვერ დავიჯერებდით, თუკი შესაძლებელი იყო ასე მარტივად და სახალისოდ ასეთი ღრმა საკითხების გადმოცემა... დაუჯერებელია, რომ ბავშვი ასე თავდაჯერებულად, გააზრებუ-

იუბილე

ლად და სიხარულით იაზრებს და გადაჭრის ესოდენ რთულ ამოცანებს... აღფრთოვანებული ვართ! ბატონი ზურაბის სახელმძღვანელოები ჩვენს შვილებს საწოლის გვერდით ბალიშთან უდევთ ხოლმე... ეს გენიალური წიგნებია, ბასრი იარაღი ჩვენი მომავალი თაობის ნამდვილი განათლებისა და საქართველოს უძლეველობისა!" – **მარიამ ბერიძე, ელენე ჯანიაშვილი, ლელა კვარაცხელია** – მოსწავლეთა მშობლები.

20-წლიანი ტანჯვა, რუდუნებით შრომა შეალია ზურაბ ვახანიამ სასკოლო განათლების საქმეს. სანაცვლოდ კი ის მიიღო, რომ დახურეს მისი საავტორო სკოლები (თბილისშიც და ქუთაისშიც), გრიფი მოუხსნეს მის სახელმძღვანელოებს. ასევე დახურეს უზნაძის ფსიქოლოგიის ინსტიტუტი (როდესაც მეცნიერებათა აკადემიის 40-მდე სხვა ყოფილი ინსტიტუტი, ავად თუ კარგად, ამჟამადაც განაგრძობს მუშაობას, ფსიქოლოგიის ინსტიტუტი სასამართლოებში „მუშაობს")...

„ზურაბ ვახანიას ნაშრომი შეეხება თანამედროვე ენათმეცნიერებაში დასმულ მრავალ პრობლემურ საკითხს და წარმოადგენს ამ საკითხების ორიგინალურ გააზრებას და გადაჭრას." – **თამაზ გამყრელიძე**, აკადემიკოსი, მსოფლიოს მრავალი უნივერსიტეტის საპატიო პროფესორი, ენათმეცნიერი.

არ ვიცი ვინ, მაგრამ ნამდვილად ენამოსწრებულად თქვა, ჯერ კლავენ და მერე ძეგლს უდგამენო. ღმერთმა დღეგრძელობა მისცეს ბატონ ზურაბს, მაგრამ სხვას მის ადგილას ან გული გაუსკდებოდა, ან საქმიანობაზე ხელს აიღებდა. გასაოცარი ნებისყოფა, მყარი პიროვნული მრწამსი, ფსიქოლოგიური გაწონასწორებულობა, იშვიათი შრომისმოყვარეობა, და რაც მთავარია, სამშობლოსი და სახელოვანი წინაპრების ერთგულება აძლევს ძალას, რომ არ შეჩერდეს, კვლავ და კვლავ უღალავად იღვაწოს...

„ზურაბი იმ ათ კაცში მეგულება, იმ ბიბლიურ რჩეულ ათეულში, რომლის გამოც ღმერთი საქართველოს არ გაწირავს." – **გელა ჩხატარაშვილი**, ზურაბის მეგობარი.

ამონარიდი ზურაბ ვახანიას წერილიდან: *„რა აზრი აქვს ქარის წისქვილებთან ბრძოლას? გაგანია გლობალიზაციაა, ძაღლი ყეფს, ქარავანი მაინც მიდისო. აზრი ნამდვილად არა აქვს. მაგრამ ეგზისტენციალიზმმა ეს მაინც გვასწავლა: ადამიანური ყოფნის სიღრმეებში რაციონალიზმი უადგილოა. პიროვნება სწორედ ისაა, ვინც, დონ კიხოტივით, „უაზროდ მიერეკება" და ასე ახორციელებს თავის ნებას. ჰუმანისტური ფსიქოლოგია დასძენს: ახორციელებს თავის მოწოდებას, სიყვარულით გზნებული – და სწორედ ესაა თვითგანხორციელების ყველაზე ნამდვილი გზა, ანუ ამქვეყნიური ბედნიერების მიღწევის გზა.*

მეზმანება ცვრიან ბალახზე მოხუცი მამა-პაპა სასხლავით ხელში და უპატრონო, ღვთის ანაბარა მიგდებულ, ხიდჩატეხილ და ღობემორღვეულ ვენახში სხვა ხალხის ჟრიამული... რაა მამული?"

თამარ მახარაძე

საგანმანათლებლო-შემოქმედებით კავშირ „ქორბუდას" თავმჯდომარის მოადგილე, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა კავშირის თავმჯდომარე, მასწავლებელთა მწვრთნელი

ბავშვთა უფლებები

მინდობითი აღზრდის მიღწევები და რისკები

ლალი ჯელაძე

ოჯახურ გარემოს მოკლებული ბავშვებისთვის მზრუნველობის ალტერნატიული ფორმების განვითარებაზე საქართველომ მუშაობა 1999 წლიდან დაიწყო და დღემდე გრძელდება. ბავშვზე ზრუნვის რეფორმის შედეგად, 50-მდე დიდი ზომის სახელმწიფო სააღმზრდელო დაწესებულება დაიხურა და ამ წლების განმავლობაში, დაახლოებით, 5 ათასამდე ბავშვი დაუბრუნდა ბიოლოგიურ ოჯახს ან განთავსდა ალტერნატიულ ზრუნვაში – მინდობით აღზრდაში ან მცირე საოჯახო ტიპის სახლში. მინდობითი აღზრდა მზრუნველობის ერთ-ერთი ალტერნატივაა და გულისხმობს, სახელმწიფოსა და მიმღებ ოჯახს შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, გარკვეული ვადით, ბავშვის ოჯახურ გარემოში აღზრდის უზრუნველყოფას, რომელსაც ექვემდებარებიან 18 წლამდე ასაკის პირები: რომლებიც არიან ობლები; რომელთა მშობელი/მშობლები სასამართლომ ცნო ქმედუუნაროდ ან აღიარა უგზო-უკვლოდ დაკარგულად; რომელთა მშობლებს შეეზღუდა (თ), ჩამოერთვა (თ) ან შეუჩერდა (თ) მშობლის უფლებამოვალეობები.

როგორ ხდება მინდობით აღმზრდელების შერჩევა, ჯეროვანია თუ არა აღმზრდელთა კვალიფიკაცია და რამდენად კარგად ხორციელდება მინდობით აღზრდაში მყოფ ბავშვებზე მეთვალყურეობა სახელმწიფოს მხრიდან? – სახელმწიფო ზრუნვის სისტემაში არსებული პრობლემებისა და უშუალოდ მინდობითი აღზრდის ინსტიტუტთან დაკავშირებულ საკითხებზე გაიმართა დისკუსია „ფრონტლაინ ჯორჯია" კლუბში.

ბავშვთა კეთილდღეობის, განვითარებისა და სოციალური პოლიტიკის სპეციალისტი, ბრიტანული საქველმოქმედო ორგანიზაციის Everey Child საქართველოს ფილიალის ხელმძღვანელი **ანდრო დადიანი** მიღწევად მიიჩნევს, რომ ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებიდან, ალბათ, ყველაზე დიდი რაოდენობა მიმღები მშობლებისა ჩვენს ქვეყანაშია და შეიძლება ჩაითვალოს, რომ ბავშვზე ზრუნვის ეს ალტერნატივა ყველაზე ქმედითად საქართველოშია წარმოდგენილი.

„ძალიან დიდი მიღწევაა ის, რომ დეინსტიტუციონალიზაციის რამდენიმე ტალღის განხორციელების შემდეგ, დეინსტიტუციონალიზებული ბავშვების, თითქმის, 50 პროცენტი მინდობით აღზრდაში განთავსდა და დღეს 1000-ზე მეტი ბავშვი ცხოვრობს მინდობით აღზრდაში. ეს სახუმარო ციფრები არ არის. სხვა ქვეყნებს თუ შევადარებთ, მასშტაბები აბსოლუტურად წარმოუდგენელია – მიღწევა სახეზეა. ამ მიღწევას, რისკების სახით, უარყოფითი მხარეებიც აქვს. ვიდრე რისკებზე ვისაუბრებ, მინდა ხაზი გავუსვა ყველაზე მთავარს – დღეს, სახელმწიფოს, როდესაც საქმე მინდობით აღზრდის სისტემას შეეხება, სამწუხაროდ, ვერ ვხედავ, რომ რაიმე ხედვა ჰქონდეს. ბოლო 3-4 წლის წინ ინტენსიურად მიმდინარეობდა მუშაობა ამ სისტემის ელემენტებზე. სისტემა გულისხმობს სახელმწიფოს ვალდებულებას, მოიძიოს, მოამზადოს, შეინარჩუნოს, მხარდაჭერა და მონიტორინგი გაუწიოს მიმღებ მშობლებს და მინდობით აღზრდას, როგორც ალტერნატიული ზრუნვის ერთ-ერთ ფორმას. ამ ხნის განმავლობაში სახელმწიფომ თავის სისტემურ ელემენტად შექმნა რაღაც რგოლი, რომელიც სწორედ ამ ფუნქციით იქნება აღჭურვილი – მოძიება, უზრუნველყოფა, მომზადება, შენარჩუნება, მხარდაჭერა და მონიტორინგი. სოციალური მომსახურების სააგენტოსა და სამინისტროს ერთ-ერთ დეპარტამენტთან მუშაობის შედეგად, სისტემური რგოლი ჩამოყალიბდა, მაგრამ სისტემის შესანარჩუნებლად აუცილებელია კვალიფიციური სპეციალისტები, თანხები და სხვა მარეგულირებელი ელემენტები – სტანდარტები. სხვათა შორის, სტანდარტზე მუშაობა თითქმის ბოლომდეა მიყვანილი.

ასევე, ძალიან მნიშვნელოვანია საკანონმდებლო მხარდაჭერა, რომლის გარეშეც, პრინციპში, ყველაფერი აზრს კარგავს. ვიმუშავეთ მინდობით აღზრდისა და შვილად აყვანის შესახებ კანონზეც. შვილად აყვანის ნაწილში ძალიან პოზიტიური ცვლილება დაიგეგმა და მომზადდა. მინდობით აღზრდის ნაწილში კი ამდენი ცვლილება არ იყო საჭირო, თუმცა, კანონით განისაზღვრა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტი – ვალდებულება იმის შესახებ, რომ მიმღები მშობლები მომზადდნენ. ეს აუცილებელი ცვლილებაა, რადგან დღესაც სახეზე გვაქვს ის, რომ მიმღებ მშობელს არ მოეთხოვება მინდობით აღზრდისთვის მომზადება.

არსებული ალტერნატივებიდან, ყველა რეზიდენტული ტიპის დაწესებულებებში – იქნება ეს მცირე საოჯახო, მინდობითი აღზრდა თუ დიდი ზომის ინსტიტუცია, რომელიც ჯერ კიდევ არსებობს (კერძო თუ სახელმწიფო) – მოქმედებს რაღაც სტანდარტი. ეს დაწესებულებები საჭიროებენ ლიცენზიას, რომლის მისაღებად ან შესანარჩუნებლად უნდა დაამტკიცონ, რომ მათი კადრი სათანადოდაა მომზადებული. სამწუხაროდ, იგივე არ მოეთხოვება მიმღებ მშობელს. ბოლო წლების განმავლობაში, თუ არ ვცდები, 2013 წლამდე მიმდინარეობდა და დღესაც გრძელდება, მცირე მასშტაბით, სპეციალისტების მომზადება. ამ ყველაფერს გაეროს მხარდაჭერითა და დონორი ორგანიზაციების დაფინანსებით, არასამთავრობო ორგანიზაციები პროექტის სახით ახორციელდებენ, ანუ სისტემური ხასიათი არ აქვს. არ მოხდა იმ მიღწევების – მომზადებული სპეციალისტების სისტემაში გაერთიანება და მომზადების, ტრენინგების, ზედამხედველობისა და ერთიან მხარდამჭერ სისტემად გარდაქმნა. თუმცა, ჩატარებული მოსამზადებელი სამუშაოს სახით, ბევრი რამ ნამდვილად გაკეთდა. თუნდაც სცენარი – როგორ უნდა იყოს მოწყობილი სისტემა და როგორი უნდა იყოს სტანდარტი."

ანდრო დადიანი მიიჩნევს, რომ რისკები, რომელიც ამ სისტემის მიღწევებს ახლავს, საკმაოდ მაღალია. ამის მიზეზად კი „სოციალური მომსახურების გაძარცვულ სისტემას" ასახელებს: „სამწუხაროდ, გვაქვს გაძარცვული სოციალური მომსახურების სისტემა და სოციალურ მუშაკებს არანაირი სამუშაო პირობები არ აქვთ იმისთვის, რომ ზედამხედველობა სრულფასოვნად განახორციელონ – არანაირი სამუშაო პირობა ოფისში და არასაკმარისი თანხები გადაადგილებისა და მონიტორინგის განსახორციელებლად. ასეთ პირობებში კი, ბუნებრივია, რისკი ათმაგად იზრდება – ათასზე მეტ ბავშვს, რომელიც მთელი საქართველოს მასშტაბითაა მიმოფანტული, ამ მდგომარეობით, სრულფასოვან მხარდაჭერას ვერ აღმოვუჩენთ. შესუსტებული ზედამხვედველობისა და მხარდაჭერის არქონის პირობებში შეიძლება მოხდეს ისეთი რამ, რაც, უპირველეს ყოვლისა, ამ ბავშვებს დააზარელებს და, თუ სისტემურად შევხედავთ, ჩრდილს მიაყენებს მთელ ამ ინსტიტუტს, რომლის დამკვიდრებაშიც დიდი ინვესტიცია ჩაიდო. დღესაც გრძელდება ბრძოლა მის წინააღმდეგ ზუსტად იმ არგუმენტით, რომ ეს ოჯახები არ არიან სწორად მოტივირებული, რომ მათ რაღაც სხვა ამოძრავებთ. როგორ უზრუნველვყოთ ამ ბავშვების დაცვა?! აი, ასეთი სურათია დღეს".

კლინიკური სოციალური მუშაობის კონსულტანტმა და სოციალურ მუშაკთა ასოციაციის გამგეობის წევრმა **ია შეყრილაძემ** ისაუბრა მინდობით აღზრდის უმნიშვნელოვანეს მიმართულებაზე – მინდობით აღმზრდელთა მოძიება, მომზადება-გაძლიერებასა და მათ შესაბამისად არჩევაზე. წლების განმავლობაში ორგანიზაციების – „საქართველოს ბავშვები" და Everey Child წყალობით, სახელმწიფოს მინდობით აღმზრდელთა ნაკლებობა არ ჰქონდა. *„დღესდღეობით, მინდობით აღმზრდელების სერიოზული კრიზისია საქართველოში. –* აცხადებს ია შეყრილაძე, – *სოციალური მუშაკები ვერ პოულობენ არა თუ გადაუდებელ, არამედ გრძელვადიან მინდობით აღმზრდელებსაც კი. მიზეზი სწორედ ის არის, რომ არ ხდება ამ მნიშვნელოვანი კომპონენტის საჭიროების სათანადოდ გააზრება. ამისთვის სახელმწიფომ გარკვეული ბიუჯეტი უნდა გამოყოს. დღევანდელ დღეს სოციალურ მუშაკს, რომელსაც უამრავი ფუნქცია და მძიმე სამუშაო პირობები აქვს, დამატებით ვერ მოვთხოვთ, თემში პოტენციური მინდობით აღმზრდელები მოიძიოს.*

როდესაც მთელი მიმართულება მინდობით აღმზრდელების მოზიდვაზე, შერჩევაზე, მომზადებაზე, სკრინინგზე მუშაობს და სახელმწიფო უკვე ამ შერჩეულ კადრს მიაწოდებს სოციალურ მუშაკს, ეს სისტემის უზარმაზარი დახმარება იქნება. ასე კეთდებოდა ადრე და ამის ხარჯზე იყო ეს სისტემა წარმატებული. დღეს ეს გამოწვევა სახეზეა და უნდა მოგვარდეს.

მინდობით აღმზრდელების პრობლემა თბილისში გვაქვს და წარმოიდგინეთ, რა მდგომარეობა იქნება რეგიონებში, როდესაც ბავშვი, მისივე ინტერესებიდან გამომდინარე, რაც შეიძლება ახლოს უნდა იყოს ბიოლოგიურ მშობელთან. მინდობით აღზრდა სწორედ ბიოლოგიური ოჯახის გაძლიერებას და მასში დაბრუნებას ითვალისწინებს, თუმცა ამის ფუფუნება სააგენტოს სოციალურ მუშაკს არ აქვს. მას სათანადო სამუშაო პირობებიც კი არ აქვს და არც არავინ ცდილობს, ამ პირობების გაუმჯობესებას. მათ არ ემსახურება მანქანა, დანიშნულ ადგილას მონიტორინგზე რომ იარონ.

მინდობით აღსაზრდელს, რომელიც სახელმწიფო ზრუნვის ქვეშაა, სოციალური მუშაკის გარდა, რომელი სახელმწიფო წარმომადგენელი ნახულობს? არც არავინ. რეალურად, მინდობით აღზრდის პროცესში თუ რამე ცუდად წავიდა, ყველაზე დაუცველი სწორედ ბავშვია. თუ სოციალური მუშაკი არ გაუწევს მონიტორინგს, ბავშვი ხმას ვერავის მიაწვდენს. შესაბამისად, ძალიან მნიშვნელოვანია ძლიერი სოციალური მუშაკი, მას შესაბამისი სამუშაო პირობები უნდა ჰქონდეს. მხოლოდ გაძლიერებული სოციალური მუშაკი შეძლებს ოჯახის გაძლიერებას და სათანადო მონიტორინგის გაწევას."

როცა დეინსტიტუციონალიზმის პროცესში 45 ბავშვთა სახლი დაიხურა, ბავშვების ნახევარი ბიოლოგიურ ოჯახში დაბრუნდა, ნაწილი მცირე საოჯახო ტიპის სახლებში გადავიდა, დიდი ნაწილი კი მინდობით აღზრდაშია, რამაც, ვფიქრობ, ყველაზე კარგად იმუშავა. ბავშვზე ზრუნვასა და მეურვეობაზე პასუხისმგებელი პირები მიიჩნევენ, რომ მინდობით აღზრდა კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვებისთვის ოპტიმალური შეთავაზებაა. საქართველოში მინდობით აღზრდაში 1 208 არასრულწლოვანი იმყოფება. აქედან მხოლოდ 204 ბავშვია ნათესაურ მინდობით აღზრდაში, დანარჩენები არანათესავ ოჯახებში ცხოვრობენ.

არსებობს სამი ტიპის მინდობით აღზრდა: რეგულარული, გადაუდებელი და ნათესავთან. განსხვავებულია ბავშვებისთვის გათვალისწინებული სახელმწიფო დახმარებაც. ნათესაურ მინდობით აღზრდაში განთავსებულ ჯანმრთელ ბავშვზე სახელმწიფო თვეში 200 ლარს იხდის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის აღზრდაში კი – 300 ლარს.

არანათესაურ მინდობით აღზრდაში განთავსებული შშმ ბავშვის აღზრდისთვის სახელმწიფოს დღეში 20 ლარი აქვს გათვალისწინებული, ამდენივე თანხაა განსაზღვრული გადაუდებელი მინდობით აღზრდის შემთხვევაშიც. ჯანმრთელი ბავშვისთვის კი სახელმწიფო, არანათესაურ მინდობით აღზრდაში, ერთ კალენდარულ დღეზე, 15 ლარს ითვალისწინებს.

„მინდობით აღზრდა პანაცეა არ არის, – აცხადებს ია შეყრილაძე, – *იდეალური იქნებოდა, ამის საჭიროება საერთოდ არ გვქონოდა. კარგად უნდა გავიაზროთ, რომ ბავშვთა კეთილდღეობა, ზოგადად, ყველაზე რთული სფერაა, სადაც ყოველთვის არსებობს რისკი, პერიოდული ბედნიერი შემთხვევები იშვიათია. არ აქვს მნიშვნელობა ეს რომელ ქვეყანაში ხდება. თავისთავად უკვე რისკის შემცველია ის, თუ ვინ შეიძლება დახვდეს ბავშვს მიმღებ ოჯახში. ასევე, მინდობით აღზრდის სისტემა გარკვეულ ფინანსურ წახალისებასაც გულისხმობს. აქედან გამომდინარე, შეიძლება გამოჩნდნენ ოჯახები, რომლებიც ამის გამო გახდნენ ბავშვის მიმღები მშობლები და ა. შ. რისკი მუდმივად არსებობდა და იარსებებს."*

როცა ამის საჭიროებაა და თუ ბავშვის მინდობით აღზრდა ვინმეს სურს, უნდა მიმართოს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს, ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. სოციალური მუშაკი ბავშვის საჭიროებებსა და მინდობით აღზრდის მსურველ პირებს შეამოწმებს. სოციალური მუშაკის დასკვნის საფუძველზე, გადაწყვეტილებას მიიღებს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო. მინდობით აღმზრდელს აუცილებლად მოუწევს კანონით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება, წინააღმდეგ შემთხვევაში, მას მეურვეობა ჩამოერთმევა.

10 წელს მიღწეული ბავშვის მინდობით აღზრდა შესაძლებელია მხოლოდ მისი თანხმობით. დაუშვებელია და-ძმის დაშორება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს მათ ინტერესებს შეესაბამება. მინდობით აღსაზრდელსა და დედობილ/მამობილს შორის ასაკობრივი სხვაობა უნდა იყოს, არანაკლებ, 16 წელი.

მინდობით აღზრდაში მყოფი ბავშვის მდგომარეობას, პერიოდულად, სოციალური მუშაკი ამოწმებს: პირველი თვის განმავლობაში, თვეში არანაკლებ 4-ჯერ, ხოლო შემდგომი თვეების განმავლობაში – მინიმუმ ერთხელ. საჭიროების შემთხვევაში, ვიზიტების რაოდენობა შეიძლება გაიზარდოს.

სოციალური მომსახურების სააგენტოს მეურვეობა-მზრუნველობისა და სოციალური პროგრამების დეპარტამენტის უფროსის, **მარი წერეთლის** *განცხადებით, მინდობით აღზრდის პროგრამა საქართველოში საკმაოდ წარმატებულია. მიაჩნიათ, რომ ყველაზე კარგია, როცა ბავშვი ნათესავის ოჯახში იზრდება, რადგან ასეთი ოჯახი ბავშვისთვის გენეტიკურად ბიოლოგიური გარემოა. თუმცა, სტატისტიკით, ბავშვების უმეტესობა მაინც არანათესაურ მინდობით აღზრდაში იმყოფება. არის შემთხვევები, როცა მინდობითი ოჯახებიც იცვლება, მაგრამ ეს არც თუ ისე ხშირად ხდება.*

ინტერვიუ რექტორთან

მთავარი გზავნილი – ხარისხის მუდმივი გაუმჯობესება

რუბრიკის სტუმარია შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი თეონა ხუფენია

– ქალბატონო თეონა, რადგან უნივერსიტეტის ბიუჯეტს, ძირითადად, განსაზღვრავს სტუდენტების რაოდენობა, უმაღლესი სასწავლებელი დაინტერესებულია რაც შეიძლება მეტი სტუდენტი მიიღოს. ხომ არ ხდება ეს ხარისხის ხარჯზე? მოგწონთ თუ არა დაფინანსების არსებული სისტემა და რამდენად აკმაყოფილებს უნივერსიტეტის მოთხოვნებს განსაზღვრული ფინანსები. არსებობს თუ არა დაფინანსების სხვა გზა ან სხვა პრინციპი? თქვენთვის რომელი იქნებოდა სასურველი?

– უნდა ვაღიაროთ, რომ უნივერსიტეტის ბიუჯეტი, ძირითადად, სტუდენტების რაოდენობაზეა მიბმული და, ლოგიკურია, ადმინისტრაციის ინტერესშია სტუდენტთა კონტინგენტის ზრდა. თუმცა, ერთმნიშვნელოვნად უნდა აღინიშნოს, რომ კონტინგენტის ზრდა ხელოვნურად შეუძლებელია. ჩვენს მაგალითზე ეს განსაკუთრებით ცხადია. უნივერსიტეტის დაფუძნებიდან, 2007 წლიდან დღემდე, აბიტურიენტთა განაცხადის სტატისტიკა მნიშვნელოვნად მზარდია, რაც განპირობებულია უნივერსიტეტში სწავლების ხარისხით. მაგრამ კონტინგენტი მცირდება სახელმწიფოს მიერ პრიორიტეტულად გამოცხადებულ, დაფინანსებულ ფაკულტეტებზე, რადგან, შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, მოგეხსენებათ, „სასწავლო უნივერსიტეტის“ სტატუსის მქონეა, შესაბამისად, ვერ ახორციელებს სამინისტროს მიერ დაფინანსებულ სპეციალობებზე სწავლებას. ხოლო იმ უნივერსიტეტების მაგალითზე, სადაც უფასო პროგრამები ხორციელდება, სტატისტიკა ადასტურებს, რომ აბიტურიენტთა ინტერესი მეტწილად მიემართა სწორედ დაფინანსებისკენ (რაც აიხსნება ქვეყნის მოსახლეობის საერთო სოციალური ფონით) და არა სწორი არჩევანისკენ, რაც, თავის მხრივ, რეგიონიდან კონტინგენტის გადინების საფუძველია.

უმაღლესი განათლების დაფინანსება – სუფსიდირება, რომელსაც იღებდა უნივერსიტეტი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხრიდან, დაფუძნებიდან სამი წლის განმავლობაში, ადმინისტრაციამ მიმართა, ძირითადად, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვისთვის. შეიქმნა სტუდენტსა და აკადემიურ პერსონალზე ორიენტირებული გარემო, რამაც კარგად წარმოაჩინა ახალდაფუძნებული რეგიონული უნივერსიტეტის სტრატეგია და ხედვა. აღნიშნული ტიპის დაფინანსება იმ ეტაპზე უნივერსიტეტის წარმატების საწინდარი იყო. შემდეგ იყო სამინისტროს მიერ დაფინანსებული აკადემიური პერსონალის ხელშეწყობის პროგრამები, რაც კვალიფიციური ადამიანური რესურსის მოზიდვის კარგი საფუძველი გახდა.

დღესაც უნივერსიტეტის მთავარი გზავნილი სწორედ ხარისხის მუდმივი გაუმჯობესებაა. რაც შეეხება დაფინანსების დღევანდელ სისტემას, უკვე აღვნიშნე, როგორც სასწავლო უნივერსიტეტი, ვერ ვახორციელებთ უფასო პროგრამებს და, შესაბამისად, ვერ ვიღებთ დაფინანსების ამ წყაროს, რაც უნივერსიტეტისთვის სტაბილური შემოსავლის გარანტი იქნებოდა. მიგვაჩნია, რომ ხარისხის მუდმივი სრულყოფისთვის უმაღლეს სამთავრობო დონეზე უნდა შემუშავდეს, განსაკუთრებით რეგიონული უნივერსიტეტების, გაძლიერების სტრატეგია. უმაღლესი განათლების ხარისხის განმსაზღვრელი არ უნდა იყოს მხოლოდ უნივერსიტეტის სტუდენტთა კონტინგენტი, ე.ი. უნივერსიტეტის ბიუჯეტი უნდა შედგებოდეს არა მარტო სტუდენტთა შემონატანისგან, არამედ მოიცავდეს ცენტრალურ და რეგიონულ დაფინანსებას, რათა უნივერსიტეტმა უპასუხოს ქვეყნისა და რეგიონის გამოწვევას. გასათვალისწინებელია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მთავარი გამოწვევა – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ევროპული სტანდარტებით ავტორიზაცია და პროგრამული აკრედიტაციები, რაც, თავის მხრივ, მოითხოვს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის დაფინანსების მოკლე და საშუალო ვადიანი მოდელების შექმნას.

– აბიტურიენტების გარკვეულ ნაწილს, რომლებმაც მინიმალური ზღვარი გადალახეს, წელს უარი ეთქვათ უმაღლეს სასწავლებლებში დარჩენილ ვაკანტურ ადგილებზე. მისაღებია თუ არა თქვენთვის ეს გადაწყვეტილება და, ზოგადად, რა აზრის ხართ მეორად ჩარიცხვებზე? გასულ წლებში გყავდათ თუ არა მეორადი ჩარიცხვის სტუდენტები და რამდენად კომფორტული იყო მათი ჩართვა სასწავლო პროცესში?

– სრულად ვეთანხმებით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილებას მეორად ჩარიცხვებთან დაკავშირებით. მოქმედი კანონმდებლობით აბიტურიენტი თავისუფალია არჩევანში და შესაძლებლობა აქვს გამოცდების მიმდინარეობის პერიოდშიც ცვალოს და დააზუსტოს განაცხადი.

– გაქვთ თუ არა ურთიერთობა საზღვარგარეთის სასწავლო-სამეცნიერო კვლევით დაწესებულებებთან, რომელ უნივერსიტეტებთან გაქვთ გაცვლითი და ერთობლივი, სტუდენტური, სამაგისტრო თუ სადოქტორო პროგრამები?

– შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი 2012 წლიდან ჩართულია Tempus-ისა და Erasmus Mundus-ის საერთაშორისო საგანმანათლებლო პროგრამებში. ამჟამად სასწავლო უნივერსიტეტი ხუთი კონსორციუმის 22 პარტნიორი ქვეყნის ნამყვანი უნივერსიტეტების რეალური და სანდო პარტნიორია, მათ შორის: შვედეთის, ბულგარეთის, პოლონეთის, პორტუგალიის, გერმანიის, საფრანგეთის, იტალიის, ესპანეთის, საბერძნეთის, ჩეხეთის, ესტონეთის, რუმინეთის. უნივერსიტეტს ჰყავს 15 ერასმუსელი გაცვლითი სტუდენტი და ევროპიდან – 3 გაცვლითი პროფესორი.

უნივერსიტეტმა მოიპოვა ახალი „Erasmus+“-ის მობილობისა და შესაძლებლობების გაძლიერების პროექტები, გააფორმა ინდივიდუალური ხელშეკრულება პორტოსა და ლოძის უნივერსიტეტებთან. ევროპის საერთაშორისო პროგრამებში ჩართულობის თვალსაზრისით, შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი ერთ-ერთი წარმატებული უნივერსიტეტია საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში.

– დღეისათვის ახალგაზრდების დასაქმება ერთ-ერთი ყველაზე დიდი პრობლემაა. ხომ არ აქვს უნივერსიტეტს რაიმე პროგრამა ამ მიმართულებით საკუთარი კურსდამთავრებულებისათვის?

– Tempus-ის საერთაშორისო პროგრამის „სტუდენტური კარიერული მომსახურების განვითარება საქართველოში“ ფარგლებში, უნივერსიტეტში შეიქმნა კარიერის განვითარების ცენტრი, რომელსაც ხელმძღვანელობს და საქმიანობას წარმართავს იმავე პროგრამით გადამზადებული აკადემიური პერსონალი. ცენტრს აქვს საკუთარი გვერდი, სამუშაო სტრატეგიული გეგმა, მისია. ერთ-ერთი მთავარი მიზანია, უნივერსიტეტის ყველა სტუდენტს შესთავაზოს მრავალფეროვანი სერვისი მათი დასაქმების შესაძლებლობის გაზრდისა და პროფესიული წარმატების მისაღწევად, ცენტრი ადგენს რეგიონის დამსაქმებელთა კარიერულ მოთხოვნებს, რის შესაბამისად უზრუნველყოფს სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კარიერულ განათლებას. შექმნილია კურსდამთავრებულების მონაცემთა ბაზა, რომელიც განახლებული სახით მიეწოდება დამსაქმებელს. უნივერსიტეტი ყოველწლიურად მონაწილეობს სტუდენტური დასაქმების ფორუმში, რეგულარულად ეწყობა როგორც გასვლითი, ისე საუნივერსიტეტო შეხვედრები სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან, მაღალია რეგიონში დამსაქმებელთა ინტერესი საგანმანათლებლო პროგრამებისა (რომლებიც მათი აქტიური ჩართულობით იქმნება) და კურსდამთავრებულთა მიმართ.

– ხშირად სტუდენტები გამოთქვამენ პრეტენზიას საჭირო სახელმძღვანელოების ქართულ ენაზე არარსებობის გამო, არის თუ არა თქვენთან ეს პრობლემა და თუ ასეა, როგორ აგვარებთ?

– უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა აღჭურვილია თანამედროვე ტექნოლოგიებით და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერით ჩართულია ელსევიერის საერთაშორისო სამეცნიერო ელექტრონულ ბაზაში.

საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისად, უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკა უზრუნველყოფს სტუდენტებს როგორც ქართული, ისე უცხოენოვანი ლიტერატურით. გარკვეულ მიმართულებებში შეინიშნება ქართულენოვანი სახელმძღვანელოების სიმწირე. აკადემიური პერსონალი, უცხო ენათა შემსწავლელ ცენტრთან ერთად, უზრუნველყოფს სპეციალური ლიტერატურის თარგმანს.

– რას გვეტყვით სტუდენტური თვითმმართველობის შესახებ, აფინანსებს თუ არა უნივერსიტეტი მის საქმიანობას?

– ეს ის თემაა, რომელსაც ვერ გამოვყოფ უნივერსიტეტის საქმიანობის სფეროებიდან, რადგან ყველა პროექტი, პროგრამა თუ აქტივობა თითოეული სტუდენტის და საერთოდ თვითმმართველობის ინიციატივით იგეგმება, ვითარდება და ხორციელდება, ჩვენ ერთი მთლიანი დიდი გუნდი ვართ. ეს ის მიდგომაა, რითაც ვფიქრობ, გამოირჩევა უნივერსიტეტი.

– გვიამბეთ საუნივერსიტეტო ფონდის საქმიანობის შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში (წარმატებული სტუდენტების წახალისება, სოციალურად დაუცველთა დაფინანსება და ა.შ.).

– უნივერსიტეტში გაიცემა სახელმწიფო, მერის, მუნიციპალიტეტის, სახელობითი და საფაკულტეტო სტიპენდიები, მოქმედებს როგორც სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული, ისე საუნივერსიტეტო სოციალური პროგრამები. როგორც მოგეხსენებათ, შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის კონტინგენტის თითქმის ნახევარი აფხაზეთიდან დევნილი და სოციალურად დაუცველი სტატუსის მქონე სტუდენტია. დე ფაქტო საზღვრისპირა რეგიონის უნივერსიტეტის მთავარი მისია, უპირველესად, ამ სტუდენტებზე მორგებული გარემოს შექმნა და მათზე ორიენტირებული პროექტების განხორციელებაა.

მოამზადა მაკა ყიფიანმა

ინფორმაცია

ყველა განსხვავებულია, ყველა თანასწორია

2 დეკემბერს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა ჭიათურაში, რომელსაც რაიონის საჯარო სკოლის სპეციალური მასწავლებლები და შშმ პირთა მშობლები ვესწრებოდით. კონფერენციას ხელმძღვანელობდა ყრუთა კავშირის ვიცეპრეზიდენტი **მაია მეტონიძე.** მან საინტერესოდ წარმართა შეხვედრა. ისაუბრა იმ სასიკეთო მიდგომებზე, რომელიც დაგვეხმარება შშმ პირებთან კომუნიკაციასა და მუშაობაში.

3 დეკემბერი, შშმ პირთა საერთაშორისო დღე, მოგვილოცა იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულმა, გუბერნატორმა, **გივი ჭიჭინაძემ,** პირველმა მოადგილემ, **პაატა ნადირაძემ** და ჭიათურის მუნიციპალიტეტის გამგებელმა, **სულხან მახათაძემ.**

ამავე დღეს, ჭიათურის კულტურის სახლში გაიმართა შშმ პირთა ხელნაკეთი ნივთების გამოფენა. სპეციალური კონცერტიც შშმ პირთა მონაწილეობით მოეწყო, რომელსაც ესწრებოდნენ იმერეთის სხვადასხვა ქალაქებიდან ჩამოსული შშმ მოსწავლეები და უფროსები. მათთან ერთად იყო ჩვენი სკოლის სსსმ მოსწავლეც. მათ გადაეცათ საჩუქრები, რამაც ისინი ძალიან გაახარა.

ამ დღემ ჩემზე ძალიან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. სკოლაში დაბრუნების შემდეგ გამიჩნდა სურვილი, მსგავსი ფორმატის ღონისძიება სკოლაშიც გამეკეთებინა. მასში მთელი სკოლის მოსწავლეები და მასწავლებლები ჩაერთნენ. ყველა ცოცხალ ჯაჭვში ჩაება, რომლის ერთ-ერთი რგოლიც ჩვენი სკოლის შშმ მოსწავლე იყო. სკოლის დირექციამ მას სიმბოლური საჩუქარიც გაუკეთა. ისე აღფრთოვანდა ამ ღონისძიებით, რომ რესურსოთახში დაფაზე ღიმილიანი სიმბოლო დაგვიხატა.

აღნიშნული ღონისძიება და სამომავალოდ დაგეგმილიც, საშუალებას მისცემს სსსმ მოსწავლეებს, სკოლის დამთავრების შემდეგ, ადვილად შეძლონ ფართო საზოგადოებასთან ინტეგრაცია.

ელისო მერმანიშვილი

სსიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ ზოდის საჯარო სკოლის სპეციალური მასწავლებელი

სასკოლო აქტივობა

ნანახმა მოლოდინს გადააჭარბა, ხოლო განცდილმა – ნანახს

სკოლა „მერმისი“ **ქეთევან დოლიძის, ლალი ვაშაკიძის** და **მანანა მალაზონიას** ხელმძღვანელობით უკვე 20 წელზე მეტია მომავალი თაობის განათლების და აღზრდის სამსახურში დგას. აქ არაერთი კარგი ტრადიციაა დამკვიდრებული. სკოლის მეათეკლასელები, მას მერე, რაც „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებას“ შეისწავლიან, მიემგზავრებიან ხოლმე ტაო-კლარჯეთში, რათა იხილონ ხანძთა და ის დიდებული ტაძრები, რაც მამა გრიგოლის მერე მისი საქმის გამგრძელებლებმა ააშენეს. ნათქვამია, ყურით გაგონილს თვალით ნანახი სჯობიაო, მაგრამ უკეთესია, გაგონილს, ნასწავლსა და გააზრებულს თუ თვალით ნანახიც დაემატება. ჩვენი დაკარგული სამშობლოს ტერიტორიაზე „მერმისის“ ისტორიისა და ლიტერატურის მასწავლებლები, შეიძლება ითქვას, არაერთ საინტერესო გაკვეთილს ატარებენ. 2015 წლის მაისში „მერმისის“ მეათეკლასელებმა იმოგზაურეს ტაო-კლარჯეთში და გადაწყვიტეს ამჯერად დოკუმენტური ფილმი გადაეღოთ. ფილმის შესაქმნელად მერმისელებმა ერთად იღვაწეს და მხოლოდ თავიანთი ძალებით შექმნეს დოკუმენტური ფილმი: „ჩანახატები ტაო-კლარჯეთზე“, რომლის პრემიერაც 2015 წლის 4 დეკემბერს გაიმართა. როგორც ფილმის შემქმნელები აღნიშნავდნენ, მათი მიზანი იყო გადმოეცათ ემოცია და დამოკიდებულება, ამ დიდებული ტაძრების ხილვით გამოწვეული ტკივილი და სიამაყე. თუმცა ამ ფილმს აუცილებელი საინფორმაციო მასალაც ახლდა.

პროექტი აერთიანებდა ქართული ლიტერატურის, ისტორიის, კინოხელოვნების (რომელიც მე-10 კლასში გაიარეს), ხელოვნების, მუსიკის, ისტ-ის ერთობლივ პროექტს. მოსწავლეებმა თავიანთი უნარები გამოავლინეს დამატებითი მასალის მოძიებასა და მიზანმიმართულად გამოყენებაში, კვლევაში, მხატვრულ კითხვაში, გახმოვანებაში, მონაწილეობა მიიღეს ფილმისათვის საჭირო ტექსტების შექმნასა და დამონტაჟებაში. პრემიერა მოიცავდა ფილმსა და მინი-კონფერენციას.

პროგრამა:

1. მოხსენება: „გრიგოლ ხანძთელის ისტორიული პორტრეტი“ – **ელენე გოცირიძე;**
2. საინფორმაციო შემეცნებითი მასალა: „ბაგრატიონები“ – **ლუკა ნიკოლაიშვილი;**
3. საინფორმაციო შემეცნებითი მასალა: „ტაო-კლარჯეთის ისტორიული ხვედრი“ – **ნინო ნიჟარაძე, ქეთი გიგიბერია;**
4. საინფორმაციო-შემეცნებითი მასალა: „ტაო-კლარჯეთის ტაძართა სატკივარი“ – **ელისო დავლიანიძე;**
5. დოკუმენტური ფილმის, „ტაო-კლარჯეთის ჩანახატების“ ჩვენება.



ფილმი 30 წუთი გაგრძელდა... ისე გავიდა ეს დრო, რომ არავის თვალი არ მოუშორებია ეკრანისათვის. ინფორმაციას ლირიკა ენაცვლებოდა, ლირიკას საგალობლები, საგალობლებს ლექსები... ნანახმა მოლოდინს გადააჭარბა, ხოლო განცდილმა – ნანახს. ამ ფილმის ნახვის შემდეგ გაჩნდა სურვილი, საზოგადოებას, მერმისელების სახელით, კიდევ ერთხელ შევახსენოთ ამ ტაძართა სატკივარი და წარმოგიდგინოთ ამონარიდები მათი ფილმის სიტყვიერი მასალიდან: *„ვიგრძენით, თუ რას ნიშნავს განცდა, რომელიც სიტყვის ძალას სცილდება. ეს იყო სიამაყისა და ტკივილის უდიდესი გრძნობა. იდგა ოშკი იავარქმნილი, ხის ყავარჯენზე ჩამოყრდნობილი, ხავსმოდებული, სევდიანი, მაგრამ არაამქვეყნიური ნათლით შემოსილი... ისეთი ნათლის სხივით, სამოთხის მომლოდინე მართალ კაცს რომ ჩაუდგება ხოლმე სიკვდილის წინ თვალებში. ჭერახდილი, ფრესკებჩამორეცხილი, გულგაღეღილი იდგა ჩვენი დიდების ნგრეული ნაშთი. მის გრანდიოზულ სივრცეში ბუნება ჩასახლებულიყო, თითქოს ცასაც აქ უპოვია თავისი სახლი, ყოველი კუთხიდან გვიმზერდა, თვალს არ გვაშორებდა, თავისკენ გვიხმობდა და ტიროდა, ცრემლი დაქვრივებული ტაძრის გუმბათში ატანდა და გუბეებს აყენებდა. ჩვენს სულშიც წვიმდა...ექვთიმე თაყაიშვილს უთქვამს: ოშკი ქართული არქიტექტურის „ვეფხიტყაოსანიაო“, მის მიწასთან გასწორებას მხოლოდ შთამომავლობა კი არა, წინაპართა სულებიც არ გვაპატიებენო!.. ფილმში ასეა დანახული მეჩეთად ქცეული ულამაზესი ქართული ტაძარი: ამწვანებული სოფლის შუაგულში ძვირფასი სამკაულივით იდგა პარხალი. ჩუქურთმიანი ჯვრებით შემკული იმ პატარძალს ჰგავდა, რომელსაც სულთნის ჰარამხანაში გასამგზავრებლად ამზადებენ. კედლებზე ამოსული ყვავილები მისი სულის ტკივილს გაეხმო და საოცარ სევდიან ელფერს აძლევდა გაზაფხულის ამ საერთო დღესასწაულს. ტაძრის კარი უხეში ლოდებით დაეგმანათ, თითქოს საბოლოოდ დაეხშოთ მისი გულის კარი, რომ შიგ სიხარულის სხივს არ შეეღწია...“* ამ ყოველივეს საოცარი ლირიკული განწყობა შემოჰქონდა ფილმში, მაგრამ უმთავრესი მაინც ბავშვების გულწრფელი განცდა იყო. როგორ ანთებდნენ სანთლებს, როგორ ლოცულობდნენ, როგორ კოცნიდნენ ტაძრის კედლებს, როგორ აგროვებდნენ ტურისტების მიერ დატოვებულ ბოთლებს. ისეთი თვალები ჰქონდათ, რომ მაყურებელი გრძნობდა, თუ როგორ შეძრა მათი სული ამ ტაძართა სატკივარმა; იქნებ სწორედ მათ შორისაა ის, ვინც ახალ სიტყვას იტყვის თავისი ქვეყნის საკეთილდღეოდ. თავის მოხსენებაში ხომ პატარა გოგონამ ახსენა გიორგი მერჩულეს სიტყვები: *„ქართლად ფრიადი ქუეყანაი აღირაცხების, რომელსა შინა ქართულითა ენითა ყამი შეიწირვის* და *ლოცვაი აღესრულებისო...“* – ამ იდეამ მოიცვა ტომებად და სამთავროებად დაქსაქსული ქვეყანა. მოგვიანებით თავისი დიდი წინაპრისაგან დამოუკიდებლად, არანაკლებ დიდმა ქართველმა და პატრიოტმა, არანაკლებად რთულ სიტუაციაში, მსგავსი ფორმულა შესთავაზა თავის სამშობლოს: *„ენა, მამული, სარწმუნოება“*!

ვფიქრობ, ამ პროექტმა სასწავლო უნარ ჩვევების გააქტიურებასა და ახალი გამოცდილების შეძენის გარდა სხვა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა მოსწავლეთა ეროვნული და მოქალაქეობრივი აღზრდის საქმეში. ეს დოკუმენტური ფილმი მასწავლებლის მინაწერით დამთავრდა: ამ ბავშვებმა უფლისკენ მიმავალი ბილიკები იხილეს და სულიერი ამაღლებისაკენ ერთი ნაბიჯი გადადგეს და თუ მომავალში მათ სულს ეშმაკი წაეპოტინა, ამ ტაძართა ხსოვნა და მადლი ისევ სიკეთისაკენ შემოაბრუნებს და ღირსეულად ატარებს ცხოვრების გზაზე.

ლალი ვაშაკიძე

დოკუმენტური ფილმიდან „ჩანახატები ტაო-კლარჯეთზე“

ტაო-კლარჯეთი პირობითი სახელწოდებაა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტერიტორიისა, რომელიც ამჟამად თურქეთის შემადგენლობაშია. აქ ჩაეყარა საფუძველი ბაგრატოვანთა ათასწლოვან სამეფო დინასტიას; IX-X საუკუნეებში ტაო-კლარჯეთში გაჩაღებულმა სასულიერო მოღვაწეობამ და შექმნილმა პოლიტიკურმა მდგომარეობამ საფუძველი ჩაუყარა საქართველოს ოქროს ხანას. ამ ტერიტორიაზე დღემდე შემორჩენილია ორასზე მეტი ქართული არქიტექტურული ძეგლი.

ხანძთა

ხანძთის მონასტერი დაახლოებით 782 წელს დააარსა გრიგოლ ხანძთელმა. „რომელი ექმნა სახე კეთილის ყოველთა მის ჟამისა მეუდაბმნოეთა მამათა ახლად შეწევისა მათისა“. მამა გრიგოლის ნერგმა საუცხოო ნაყოფი გამოიღო, ტაო-კლარჯეთში აყვავდა სულიერი ცხოვრება, გაჩაღდა სამონასტრო მშენებლობა. გიორგი მერჩულემ გრიგოლ ხანძთელს „უდაბნოთა ქალაქმყოფელი“ უწოდა.

ნანახმა გაგვაოცა, განცდამ კი ნანახს გადააჭარბა. აკი ამბობდა ხანძთაზე მამა გრიგოლი: „დაღათუ ფრიად განვამრავლო სიტყვაი, ვერ მისწვთების გონებაი ჩემი ყოველსა მას უდაბნოთა მათ სიკეთეს უწყებად შენდა...“

პარხალი

პარხალი მდებარეობს ჭოროხის მარცხენა შენაკადის, პარხალისწყლის, ხეობაში. ტაძარი სამნავიანი ბაზილიკაა. იოანე ნათლისმცემლის სახელზე მეათე საუკუნეში დავით მესამე კურაპალატს აუგია. აქ იყო დაცული „შუშანიკის წამების“ ყველაზე ძველი, მე-10 საუკუნის, ნუსხა. პარხალი XVI საუკუნიდან, ოსმალეთის მიერ ამ ტერიტორიის დაპყრობისთანავე, მეჩეთად გადაუკეთებიათ.

ტაძარი კარგად გათლილი ქვით იყო მოპირკეთებული და ულამაზესი დეკორატიული თაღებით შემკული. ამ თაღებში ჩასმული მოჩუქურთმებული სარკმლები საოცარ სიმსუბუქეს მატებდა პარხალს. რაღაც უცნაური სითბო დაგვიტოვა პარხლის ხილვამ.

ოშკი

ტაო-კლარჯეთის ბუნებას ერთი საოცრება ახასიათებს, ფიცხელ კლდეებსა და უდაბურ ადგილებს შორის უცებ წააწყდები სამოთხესავით აყვავებულ კუთხეს. X საუკუნის უმნიშვნელოვანესი ქართული სამონასტრო ცენტრი, ოშკიც, ამგვარ ადგილასაა აშენებული.

სამონასტრო კომპლექსში შედიოდა: იოანე ნათლისმცემლის სახელზე აგებული ტაძარი, სამლოცველოები, სატრაპეზო, სკრიპტორიუმი, საცხოვრებელი სენაკები და სამეურნეო შენობები. მისი აღმშენებლები ყოფილან ტაოს ბაგრატიონები – ბაგრატ ერისთავთერისთავი და დავით III კურაპალატი. ოშკის მონასტერი ერთ-ერთი დიდი სასულიერო ცენტრი, მწიგნობრობისა და განათლების კერა იყო.

ხახული

ხახული უდიდესი კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრი გახლდათ. აქ შეიქმნა ქართული ოქრომჭედლობის უნიკალური ნიმუში – XII საუკუნის ღვთისმშობლის კარედი ხატი. ის იმ ბედნიერ ნაგებობათა რიცხვში ყოფილა, რომელთაც მეჩეთობამ სიცოცხლე შეუნარჩუნა. სამაგიეროდ სულისშემძვრელად გამოიყურებოდნენ პერანგშემორღვეული, ნახევრად მიწაში ჩამარხული სხვა ნაგებობები, რომლებსაც მეჩეთად ყოფნის უფლება არ ერგოთ.

ოთხთა

ოთხთა შემაღლებულ ბორცვზე დგას, მაგრამ ვაი, ამ დგომას. იგი თითქოს პარხლის ტყუპისცალია, მაგრამ განწირული, ნაწამები, პერანგშემოხეული, შანთებით მკერდდაგლეჯილი. ბუნებას შეუმოსავს მისი შიშველი სხეული, მალამოდ დასდებია იარებსა და ჭრილობებს – ხავსსა და მცენარეებს დაუფარავს ტაძარი. ათი საუკუნის ქართული კრამიტი ნელ-ნელა ჩაშლილა, ჩარღვეულა და აწვიმს ფრესკებს.

ოთხთა ეკლესია მდებარეობს მდინარე ჭოროხის ხეობაში. ეკლესია ოთხი მახარებლის სახელზეა აგებული, საიდანაც მომდინარეობს მისი სახელწოდებაც.

სამოქალაქო განათლება

სამოქალაქო განათლების პედაგოგებს სერიოზული მისია გვაკისრია

პროფესიით იურისტი ვარ. ჩემი კარიერული წინსვლა 2006 წლიდან დაიწყო მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ ბანძის საჯარო სკოლაში. 2009 წლიდან ვასწავლი სამოქალაქო განათლებას. დღემდე გავიარე/გავდივარ ტრენინგ-კურსებს და მოპოვებული მაქვს სერტიფიკატები.

2012-2014 წლებში წარმოვადგენდი პარტნიორ სკოლას „სამოქალაქო განათლებისა და პედაგოგთა გადამზადების პროგრამის“ ფარგლებში, რომელიც ხორციელდებოდა PH international-ის მიერ, USAID-ის დაფინანსებით, ხოლო სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში ახორციელებდა ასოციაცია „ათინათი“. ამ პროგრამის ფარგლებში, სხვადასხვა თემაზე არაერთი ტრენინგ-კურსი გავიარე, რომლის საფუძველზე დაგროვილ ცოდნასა და გამოცდილებას ვუზიარებ სკოლის მოსწავლეებს. სკოლაში ჩამოვაყალიბე კლუბი „თანადგომა“, სადაც განევრიანებულია IX-X კლასების 20 მოსწავლე. კლუბში არწყდება მოსწავლეთა როტაცია. ბავშვები დიდი ენთუზიაზმით ერთვებიან საზოგადოებრივ ცხოვრებაში, პრობლემების მოგვარების საკითხებში, გამოდიან სხვადასხვა ინიციატივებით, ნერგავენ სიახლეებს, აწყობენ დასუფთავების, გამწვანების საქველმოქმედო აქციებს, ატარებენ ტრენინგებს, კონფერენციებს, სპორტულ-გამაჯანსაღებელ ღონისძიებებს, ახდენენ მოსახლეობის ინფორმირებას ბუკლეტებით, სოციალური ქსელით თუ სხვა საშუალებით, რაც პერმანენტული ხასიათი აქვს.

სწორედ PH-ის პროგრამის ფარგლებში, მოვიპოვეთ მცირე საგრანტო პროექტის „მწვანე გარემო“ დაფინანსება, რის შემდეგაც სკოლაში მოეწყო პატარა სკვერი, დაიდგა სკამები, დამონტაჟდა კარი, დაირგო ნერგები; ვმონაწილეობდით კონკურსში, რომელიც სასკოლო სამოქალაქო კლუბებისათვის ტექნიკის გადაცემას ითვალისწინებდა. მაშინ აღიჭურვა ჩვენი კლუბი: კომპიუტერით, ქსეროქს-პრინტერით, ფოტო და ვიდეოგადამღებით.

3 წელი დავდიოდით სენაკის შშმ პირთა ბავშთა სახლში. სამწუხაროდ, ორი წელია რაც დაიხურა და ჩვენი ურთიერთობაც შეწყდა; ხშირად ვსტუმრობდით ბანძის ბაღის აღსაზრდელებს, პატარებს ვულოცავდით ახალ წელს, ვჩუქნიდით სათამაშოებს, საკანცელარიო ნივთებს, ასაკისთვის შესაბამის სახელმძღვანელოებს. ეს ურთიერთობა დღემდე გრძელდება; თანადგომას გამოხატავენ ბავშვები ბანძის მკვიდრ პატარა გიორგისადმი, რომელიც ცერებრალური დამბლით არის დაავადებული.

სკოლა თანამშრომლობს სამოქალაქო განვითარებისა და კვლევების ცენტრთან CDRC, რომელმაც პროექტის „გახდი აქტიური მოქალაქე“ ფარგლებში, ბანძის საჯარო სკოლას დაუმონტაჟა პანდუსი, კლუბ „თანადგომას“ გაურემონტა ოთახი და აღჭურვა ინვენტარით, შეიძინა პროექტორი დოკუმენტური ფილმების ჩვენების, განხილვისა და სადისკუსიო გაკვეთილების მოწყობის მიზნით. პროექტი განხორციელდა სტრატეგიული კვლევისა და განვითარების ცენტრის, ასოციაცია „ათინათთან“ პარტნიორობით; „ქალთა გაძლიერება ცვლილებისათვის“ პროექტის ფარგლებში, რომელიც გაეროს ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდება, ბევრი სამოქალაქო აქტივობა დაიგეგმა ბანძის სკოლის ახალგაზრდებისთვის, სპორტულ-გამაჯანსაღებელი, ინტელექტუალურ-შემოქმედებითი ღონისძიებები, აქციები და ა.შ.

მოსწავლეებისათვის ჩავატარე სამუშაო შეხვედრა (ვორკშოპი) თემაზე „ადამიანის უფლებები, ბულინგი, დისკრიმინაცია“. გამოვიყენე მეთოდი „გონებრივი იერიში“, თუ რა შეუძლიათ თქვენ საზოგადოებასა და ძალადობაზე; მოვაწყვე დოკუმენტური ფილმის „სტიგმა“ ჩვენება, სადაც ხდება დისკრიმინაცია მამა-შვილის მიმართ, ისინი აივ/შიდსით დაავადების გამო ხდებიან საზოგადოებისაგან გარიყულნი და იზოლირებულნი; მოწვეული მყავდა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი, ადვოკატი **ნინო რურუა**, რომელმაც თავისი ცოდნა და გამოცდილება გაუზიარა მოსწავლეებს. მსვლელობა წარიმართა კითხვა-პასუხის რეჟიმში. ქალბატონი ნინო დაპირდა ბავშვებს, რომ უშუამდგომლებდა სასამართლო პროცესზე დასასწრებად. ასეც მოხდა, ისინი დაესწრნენ სასამართლო პროცესს, სადაც იურიდიული მნიშვნელობის ფაქტების დადგენის საკითხი განიხილებოდა. მოსწავლეები ესაუბრნენ სენაკის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ მოსამართლეს მარტვილის მუნიციპალიტეტში **დარეჯან კვარაცხელიას**, რომელმაც მათ შეკითხვებს უპასუხა. ამ შეხვედრამ დიდი გავლენა იქონია იურიდიული სფეროთი დაინტერესებულ მოსწავლეებზე. ქალბატონმა დარეჯანმა მოსწავლეებს უსახსოვრა სახელმძღვანელოები – „ბავშვი და სამართალი“.

სკოლის კლუბებს შორის ურთიერთთანამშრომლობითი ღონისძიებების ჩატარების და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციის თემაზე სამოქალაქო კლუბის „თანადგომა“ წევრებსა და ვედიდკარის სკოლის (სკოლამ გამოთქვა სურვილი ჩვენთან თანამშრომლობის) მოსწავლეთა ჯგუფს შორის, ბანძის სკოლაში, ინტელექტუალურ-შემოქმედებითი ვიქტორინა ჩატარდა, გამოვლინდა გამარჯვებული ჯგუფი, რომელიც ჟიურის წევრებმა სიგელებითა და წამახალისებელი პრიზებით დააჯილდოვეს. სიგელი ყველა მონაწილეს გადაეცა.

ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციის მიზნით, ბანძისა და ვედიდკარის გადაკვეთაზე, გაიმართა მარათონი სირბილში, 3კმ-იან მონაკვეთზე, რომელშიც ორი სოფლის ახალგაზრდობა მონაწილეობდა. ეს იყო გზავნილი ადგილობრივი მოსახლეობისადმი ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციის დანერგვისთვის. იქვე დასახეს სამომავლო აქტივობები – ერთობლივად ჩატარდეს დისკუსიები სხვადასხვა აქტუალურ თემებზე, შეჯიბრებები სპორტულ სახეობებში და სხვ. პროცესში აქტიურად იყვნენ ჩართული: ვედიდკარის სკოლის დირექტორი **დოდო გაბისონია**, დირექტორის მოადგილე **ირმა ჯოჯუა**, ბანძის საპატრულო პოლიცია და მედპერსონალი, ასოციაცია „ათინათის“ წარმომადგენელი **ლალი გამისონია**, ბანძის სკოლის მასწავლებელი **ლიდა ზარქუა**.

განსაკუთრებით ამაღელვებელი იყო შეხვედრა თემის უხუცეს ადამიანებთან. ბანძის თემში მცხოვრები უხუცესი ადამიანებისთვის განსაკუთრებული სადღესასწაულო საღამო მოეწყო ბანძის საჯარო სკოლის სამოქალაქო განათლების კლუბის ოთახში. ლიტერატურულ საღამოს, რომელიც ლექსებითა და მუსიკალური ნომრებით იყო გაფორმებული (ორგანიზატორი – **ლიდა ზარქუა**). მონაწილეობდნენ ბანძის სკოლის უფროსკლასელები, სკოლის დირექტორი, მასწავლებლები. ღონისძიებას უძღვებოდა ქალბატონი **მზევინარ ბართაია**. მონვეული იყო სოფლის მკვიდრი 6 უხუცესი, რომელთაც სამახსოვრო საჩუქრები გადაეცათ.

თემები, რომლებიც კლუბის წევრების ინტერესთა არეალში ხვდება, მრავალფეროვანია. მათ შორისაა ბუნების დაცვასთან დაკავშირებული საკითხები. ამ მხრივ გამორჩეული იყო აქცია „გავუფრთხილდეთ ბუნებას“. დამზადდა საინფორმაციო ორგვერდიანი ბუკლეტი (50 ცალი), ბუნების დაცვასთან დაკავშირებული ინფორმაციით და დარიგდა თემში. სკოლის მოსწავლეებმა და მასწავლებლებმა (სულ 45 ადამიანი) სკოლის და მიმდებარე ტერიტორიები დაასუფთავეს. საჭირო ინვენტარი (ხელთათმანები, ნაგვის პარკები) სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრმა მოგვაწოდა. ნარჩენების გატანაზე მარტვილის მუნიციპალიტეტის დასუფთავების სამსახურმა იზრუნა.

კლუბი „თანადგომა“ ჩაერთო სამოქალაქო განვითარებისა და კვლევების ცენტრის CDRC-ის პროექტში „უსაფრთხო გარემო – ჯანსაღი მომავალი“, რომლის ფარგლებში ჩატარდა ორდღიანი ტრენინგ-სემინარი 4 თემის (ბანძა, მუხურჩა, ვედიდკარი, ნაჯახაო) ახალგაზრდებისაგან ჩამოყალიბებული საინიციატივო ჯგუფისათვის თემაზე „ჯანსაღი გარემოს შექმნა, განვითარება და მყარი ნარჩენების მართვა“. ტრენინგი ჩაატარა CDRC-ის ექსპერტმა ლიდა ზარქუამ. ახალგაზრდებმა შეიმუშავეს საქმიანობის სამოქმედო გეგმა, განსაზღვრეს ნაგავსაყრელზე კვლევის ჩატარების დრო, დასუფთავების, გამწვანების, სპორტული ღონისძიებების აქცია, მუნიციპალიტეტისათვის პრობლემის გაცნობის და თემთან შედეგების წარდგენის გრაფიკი. ჯგუფის წევრებმა – **ანა ქაჯაიამ, მარი მიხალაკიმ, მარი ჯიქიამ, ანანო გაბუნიამ** – მოიკვლიეს მარტვილის მუნიციპალიტეტში არსებული ნაგავსაყრელები, შეისწავლეს და პრეზენტაციით წარდგნენ ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურში. აქტივობებში მონაწილეობდნენ: **ქეთი დანელია, მარი მიხალაკი, ბექა ძაგანია, ოთარ წოწონავა, ნინო კეკელია, ანანო გაბუნია, მარი წოწონავა, ეთო რურუა, ანანო ძაგანია, ნანა ძაგანია, თიკო ურიდია, თათია კოტია.**

ბანძაში მოეწყო მარათონი სირბილსა და ველორბოლაში ბანძის, ვედიდკარის, ნაჯახაოს, მუხურჩის სკოლების მოსწავლეების ჩართულობით. პირველ ადგილზე გასულებს – **გიორგი ქაჯაიასა** და **გიორგი წოწორიას** გადაეცათ თასი, სიგელები და მცირედი სამახსოვრო საჩუქრები. ასევე სიგელები გადაეცათ მეორე და მესამე ადგილებზე გასულებს – **გიორგი ქიქავას, ჯემალ კვანტალიანს, ანი გვასალიას, იონა იმდეიშვილს**.

სამიზნე თემების ახალგაზრდებმა ორგანიზება გაუწიეს დასუფთავებისა და გამწვანების აქციას. აქცია ჩატარდა ბანძის, მუხურჩის, ვედიდკარის და ნაჯახაოს სოფლებში და 2 დღე გაგრძელდა. ღონისძიებაში აქტიური მონაწილეობა მიიღო ადგილობრივმა თემმა (ნარგავების დარგვით, დასუფთავებით), აგრეთვე ბანძის, ნაჯახაოს, ვედიდკარის ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენლებმა – **ელისო კოტიამ, ზაზა ქვარცხავამ, რამიზა ფანცულაიამ**. მათ 80 ნერგით უზრუნველყვეს აქციის მონაწილეები, მარტვილის დასუფთავების სამსახურმა კი ნაგავი გაიტანა. ბუნებრივია, რომ მონაწილეების გვერდით იშრომეს სამოქალაქო განათლების მასწავლებლებმა – **მაია ფოჩხუამ, ირმა სვანიძემ, ზოია დიხამინჯიამ** სკოლის დირექტორებმა – **დონალდი ძაგანიამ, დოდო გაბისონიამ**, მოადგილე **ირმა ჯოჯუამ**.

ახალგაზრდებმა ეკოლოგიურ საკითხებზე გამართული სემინარებიდან მიღებული ცოდნა პრაქტიკაში გამოიყენეს და მოახერხეს კიდეც ამ მხრივ არსებული პრობლემების იდენტიფიცირება. მიზნად დაისახეს თავიანთ თემში დამოუკიდებლად დაგეგმონ სხვადასხვა აქტივობები, მოაწყონ აქციები, შეხვედრები საინტერესო ადამიანებთან, მოიწვიონ ტრენერები; ყოველ წელს გამართონ სპორტულ-გამაჯანსაღებელი შეჯიბრებები. ასეთი აქტივობები თავისთავად უწყობს ხელს მათ სამოქალაქო გააქტიურებას.

მოგეხსენებათ, რაოდენ დატვირთული და საპასუხისმგებლო პროფესიაა პედაგოგობა, გამონაკლისი არც სამოქალაქო განათლების პედაგოგობა გახლავთ. პირიქით, მას სერიოზული მისია აკისრია – მოზარდებში სამოქალაქო ცნობიერების, პასუხისმგებლობის, კომუნიკაციის, თავისუფალი აზროვნების, კვლევისა და დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღების უნარის გამომუშავება, პრობლემების მოგვარებისთვის მზაობა. სამოქალაქო განათლების გაკვეთილები სწორედ ამ უნარების გამომუშავებაზეა ორიენტირებული. საგაკვეთილო პროცესში „სწავლება კეთებით“ მეთოდის გამოყენებას, მრავალფეროვან ღონისძიებებსა და აქციებს სასურველ შედეგამდე მივყავართ.

დარეჯან ცინარიძე
ბანძის საჯარო სკოლის
სამოქალაქო განათლების პედაგოგი

სასკოლო აქტივობა

სასწავლო პროცესში მშობელთა ჩართულობის ასამაღლებლად

ჩვენ ერთად ვართ **3მ** მოსწავლე მასწავლებელი მშობელი

დიდი ბრიტანელი მოაზროვნე ჯონ ლოკი აღნიშნავდა: *„კვლევებმა ცხადჰყო, რომ მაღალი აკადემიური მოსწრება უმთავრესად აქვთ იმ ბავშვებს, რომელთა მშობლებიც აქტიურად არიან ჩაბმული სასკოლო ცხოვრებაში და კეთილგანწყობილი ურთიერთობა სუფევს მათ მშობლებსა და მასწავლებლებს შორის“.* სწორედ ფსიქოლოგის ამ მოსაზრების გათავისება გახლდათ სსიპ ოტია იოსელიანის სახელობის ქალაქ წყალტუბოს №1 საჯარო სკოლაში ჩატარებული მშობელთა კონფერენცია, რომლის სლოგანი იყო „ჩვენ ერთად ვართ“, ხოლო სახელწოდება – „3მ“ (მოსწავლე, მასწავლებელი, მშობელი).

როგორც წესი, სკოლის ცხოვრებაში მშობლების ჩართულობა სკოლის საერთო და კლასის კრებებზე დასწრებით, ურჩი მოსწავლეების მშობლების დირექტორთან და კლასის დამრიგებლებთან დაბარებით, შედარებით ბეჯითების აკადემიური მოსწრების დაანონსებით შემოიფარგლებოდა. თუმცა, მოსწავლეთა წარმატებისთვის ყოველთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს მშობელთა მონაწილეობას სასწავლო პროცესში, უკეთესი შედეგების მისაღწევად უფრო თანამედროვე, ინოვაციური და კრეატიული იდეების განხორციელებაც შეიძლება. სწორედ ასეთი ინოვაცია გახლდათ აღნიშნული კონფერენცია, სადაც სხვადასხვა პროფესიის მშობლებმა საინტერესო პრეზენტაციები წარმოადგინეს:

1. **ქეთევან ჯიქიამ**, მშობელთა ჩართულობის კოორდინატორმა – „რჩევები მშობლებს“;
2. **ფიქრია გოირხელიძემ**, ისტორიის პედაგოგმა – „როგორ აყალიბებს სკოლა აქტიურ მოქალაქეს“;
3. **მანანა წულაიამ**, მათემატიკის პედაგოგმა, სკოლის ფასილიტატორმა – „მშობელთა საჭიროების კვლევა“;
4. **ზაზა ჩაჩავამ**, IX კლასის მოსწავლის მშობელმა – „სეპარატიზმის წარმოშობა საქართველოში, პარალელები და პრობლემები“;
5. **მადონა შალამბერიძემ**, VII კლასის მოსწავლის მშობელმა – „წიგნი და თანამედროვეობა“;
6. **შორენა მარგიანმა**, XII კლასის მოსწავლის მშობელმა – „ვაჟასეული რჩევები მშობლებს“;
7. **მანანა კუჭავამ**, X კლასის მოსწავლის მშობელმა – „C ჰეპატიტის პრევენცია სამედიცინო დაწესებულებაში“;
8. **ელისო ჯიაძემ**, სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარემ – „მშლობლების ძალაუფლება – აუცილებელი და გამართლებული?!“;
9. **მაკა დიდბერიძემ**, ექიმმა ჰომეოპათმა – „ჰომეოპათია ჯანმრთელობის სამსახურში“;
10. **თამარ ფანჩულიძემ** – VIII კლასის მოსწავლის მშობელმა და **მირანდა ბოჭორიშვილმა** – „ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია და ფუნქციური პროდუქტის მნიშვნელობა მოზარდი თაობის ზრდა-განვითარებაში“.

კონფერენციას წინ უსწრებდა მოსამზადებელი პერიოდი. დირექციის, სკოლის ფასილიტატორის, მანანა წულაიას და მშობელთა ჩართულობის კოორდინატორის, ქეთევან ჯიქიას ხელმძღვანელობით, კლასებში დარიგდა მშობელთა საჭიროების კვლევის ანკეტა, რათა წინასწარ გვცოდნოდა მათი მოსაზრებანი და მოთხოვნები. ანკეტების ანალიზი წარმოდგენილ იქნა კონფერენციაზე, რომელშიც პედაგოგებთან და მოწვეულ სპეციალისტებთან ერთად, 27 კლასის მშობელთა კომიტეტის წარმომადგენელი მონაწილეობდა, სულ 180-მდე მშობელი. ვინაიდან ახალი სასწავლო წელი სწავლის ხარისხის ამაღლების წლად გამოვაცხადეთ, ეს ერთ-ერთ მნიშვნელოვან აქტივობად ჩავთვალეთ.

„მშობელთა კონფერენცია ჩვენი თანამშრომლობის საუკეთესო მაგალითი იყო. თუ ასეთი შეხვედრები სისტემატიურ ხასიათს მიიღებს, მისი შედეგი უფრო ნაყოფიერი იქნება. მივაღწევთ იმას, რომ ამაღლდება მოსწავლეთა სწავლის ხარისხი, სკოლა გახდება წარმატებული, გამჭვირვალე და სასურველი ყველა მშობლისათვის.“ – აღნიშნა სკოლის დირექტორის მოადგილემ, **დალი სილაგაძემ**.

კონფერენციის შესახებ მოსაზრება გამოთქვა სკოლის ყოფილმა დირექტორმა, მათემატიკის პედაგოგმა, **ნათელა ბაზაძემ**: *„მშობელთა კონფერენცია, რომელიც ჩვენს სკოლაში ახლახან ჩატარდა, სკოლასა და საზოგადოებას შორის საჭირო კავშირების დასაწყისისა და განვითარების ნათელი გამოხატულებაა. №1 საჯარო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი იმისათვის მუშაობს, რომ მშობლებიც სასწავლო პროცესის თანამონაწილენი გახდნენ, რაც გულისხმობს: ხელი შევუწყოთ მშობლებს წარმატებით იმუშაონ ბავშვებთან; ჩაერთონ სასკოლო საქმიანობებში; გამოვიყენოთ მათი გამოცდილება და უნარ-ჩვევები.*

მშობელთა კონფერენცია მიმდინარეობდა კეთილგანწყობილ და თანამშრომლობით გარემოში. სხვადასხვა პროფესიების მშობლები საინტერესოდ საუბრობდნენ იმ გამოცდილებაზე, რომელიც შეიძინეს თავიანთი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისა და შვილების აღზრდის პროცესში. იყო აგრეთვე რჩევები, თუ როგორ გამოვიყენოთ ადამიანური რესურსები და გარემო, როგორც საგანმანათლებლო რესურსი. საინტერესო იყო მშობლების: მანანა კუჭავას, ზაზა ჩაჩავას, თამარ ფანჩულიძის და სხვათა გამოსვლები.

იმედია, ასეთი შეხვედრები ტრადიციული და მომავალზე ორიენტირებული იქნება.“

„რაიონის სკოლების მასშტაბით ეს იყო პირველი ინოვაციური კონფერენცია, რომელიც მშობელთა ჩართულობის გააქტიურებას გულისხმობდა, რაც უთუოდ ხელს შეუწყობს მოსწავლეთა აკადემიურ წინსვლას. ვფიქრობ, ეს კარგი ტრადიციის დამკვიდრების დასაწყისია.“ – აღნიშნა მშობელთა ჩართულობის კოორდინატორმა **ქეთევან ჯიქიამ**.

„სკოლაში ჩატარებულ მშობელთა კონფერენციაზე დიდი შთბეჭდილება მოახდინა გამომსვლელთა პრეზენტაციებმა. მშობელთა ჩართულობა სასწავლო პროცესში კიდევ უფრო აამაღლებს მოსწავლეთა აკადემიურ მოსწრებას.“ – თქვა სამეუვეო საბჭოს თავჯომარემ, **ელისო ჯიაძემ**.

მშობელთა კონფერენცია ტრადიციად დამკვიდრდება ჩვენს სკოლაში, რაც მუდამ შეახსენებს მოსწავლეს, მასწავლებელს და მშობელს, რომ „ჩვენ ერთად ვართ“.

ფაქიზო ფანჩულიძე-კუჭავა
სკოლის დირექტორი

ინფორმაცია

პროექტი დასრულდა

ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში პროექტის „კინო სკოლაში“ დასკვნითი ღონისძიება გაიმართა. გამარჯვებული 10 საუკეთესო კინოსკოლა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინიტრმა თამარ სანიკიძემ და კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა მიხეილ გიორგაძემ დააჯილდოვეს. სპეციალური სერტიფიკატები პროექტში მონაწილე სკოლებსაც გადაეცათ. ღონისძიებაზე კინოსკოლელების მიერ გადაღებული სასწავლო ფილმებისა და ქართველი პროფესიონალი რეჟისორების – დათა ფირცხალავასა და ტატო კოტეტიშილის – მოკლემეტრაჟიანი ფილმების ჩვენება გაიმართა. აღსანიშნავია, რომ კინოჩვენებებისა და დისკუსიების გარდა, პროექტის ფარგლებში, კინოსკოლელებმა 150 კინოპოსტერიც შექმნეს.

ღონისძიებას 2000-მდე კინოსკოლელი და პრევენციის ცენტრის ბენეფიციარები ესწრებოდნენ, რომლებიც პროექტში ოქტომბრის თვიდან ჩაერთვებიან. მნიშვნელოვანია, რომ „კინო სკოლაში“ დანაშაულის პრევენციის ცენტრთან თანამშრომლობს.

„კინო სკოლაში“ ეროვნული კინოცენტრის პროექტია, რომელიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით ხორციელდება.

პროექტი 2014 წელს დაიწყო და, თავდაპირველად, საქართველოს 5 რეგიონის 40 სკოლა მოიცვა. ამჟამინდელი მონაცემებით, პროექტში ჩართულია საქართველოს ყველა რეგიონი, 207 სკოლა, 120 სოფელი, მათ შორის საქართველოს საოკუპაციო ხაზთან მდებარე და მაღალმთიანი სოფლები, როგორებიცაა: შუაფხო, ღები, განმუხური, კოკი, რუხი, პანკისის ხეობა, ერგნეთი, კნოლევი.

„კინო სკოლაში“ ახალ სეზონს 2016 წლის მარტში დაიწყებს.

თამარ სანიკიძე: *„პროექტი „კინო სკოლაში“ მეორე წელია მიმდინარეობს და ნამდვილად ერთ-ერთი გამორჩეულია იმ პროექტებს შორის, რომელსაც განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, თუნდაც კულტურის სამინისტრო, რეგიონებში ახორციელებენ. პროექტში ჩართულობა იმდენად მაღალია, რომ ვფიქრობთ გაფართოებას. არაჩვეულებრივი შედეგები იყო მაღალმთიან სოფლებში, ასევე საოკუპაციო ხაზის გასწვრივ მდებარე სკოლებში, დიდი დაინტერესება იყო პანკისში.*

დღეს წარმოდგენილი გვყავს სკოლები, რომლებმაც, პროექტის ფარგლებში, თავიანთი ნამუშევრები წარმოადგინეს. ვფიქრობ, ასეთი წარმატებული დასასრული, ასეთი კარგი შედეგი, მომდევნო რაუნდზე უფრო აამაღლებს მოთხოვნას. მთავარია, ამ მოთხოვნას სათანადოდ ვუპასუხოთ.

რომ არა ის მოტივირებული ადამიანები, ვინც პროექტზე იმუშავა, ხაზგასმით მინდა აღვნიშნო ქალბატონ ნანა ჯანელიძის როლი, ვფიქრობ, პროექტი ასეთი წარმატებული არ იქნებოდა. განათლების სამინისტრო გააგრძელებს ფინანსურ მხარდაჭერას, მატერიალურ-ტექნიკური ბაზით ხელშეწყობას, რადგან ასეთი დაინტრესებაა, პროექტი ყველა ბავშვისთვის თანაბრად ხელმისაწვდომი რომ იყოს.

მიხეილ გიორგაძე, კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი: *„შარშან პროექტის წარმატება იმდენად არნახული იყო და იმდენად დიდი ინტერესი გამოიწვია მთელი ქვეყნის მასშტაბით, რომ წელს სკოლების რაოდენობა ბევრად გავზარდეთ. ჩართულობა ბავშვების, მასწავლებლების, თავად კურატორების (ვინც კინოცენტრმა მოამზადა) ძალიან აქტიური იყო.*

წელს აქცენტი გაკეთდა მაღალმთიან რაიონებზე, ძნელად მისასვლელ სოფლებზე, საზღვრისპირა რეგიონებზე, სადაც ამ პროექტმა ასევე არნახული ინტერესი გამოიწვია. ვფიქრობ, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტი, გარდა იმისა, რომ ბავშვებმა მსოფლიო შედევრები ნახეს, ის დისკუსიები იყო, რომლებიც ამ ჩვენებების შემდეგ იმართებოდა. ბავშვები ძალიან აქტიურად იყვნენ ჩართული, თავისუფლად გამოთქვამდნენ საკუთარ მოსაზრებებს.

დღეს პროექტს ვაჯამებთ. „კინო სკოლაში“ უკვე თვითონ ქმნის პროდუქტს, რომელიც, როგორც გამოფენის სახით, ასევე პოსტერებისდა ბავშვების მიერ გადაღებული მოკლე ფილმების სახითაა წარმოდგენილი.

დარწმუნებული ვარ, ამ ბავშვებს შორის მომავალი, ძალიან ცნობილი, წარმატებული სცენარისტები, კინორეჟისორები და მსახიობები არიან.“

ნანა ჯანელიძე, ეროვნული კინოცენტრის დირექტორი: *„კინო სკოლაში“ ძალიან მნიშვნელოვანი პროექტია არა მარტო კინოცენტრისთვის, მთელი საქართველოსთვის და ჩვენი მომავლისთვის. შორეულ სოფლებში, რეგიონებში ჩვენ ყველაზე კარგი ფილმები, მსოფლიო შედევრები შევიტანეთ. ბავშვები ამ ფილმებზე გაიზრდებიან და შეეჩვევიან აზროვნებას, კითხვების დასმას, დისკუსიას. ეს იმას ნიშნავს, რომ ვქმნით მომავალ საზოგადოებას, რომელიც მოაზროვნე და სამოქალაქო საზოგადოება იქნება. ამიტომ ეს პროექტი ძალიან მნიშვნელოვანია არა მარტო დღევანდელობისთვის, ჩვენი მომავლისთვისაც.“*

სპორტი

მოხალისის დღეები საქართველოში

საქართველომ „მოხალისის დღე“ გამორჩეული ახალგაზრდების დაჯილდოებით აღნიშნა. ჩვენთვის მოხალისეობა ჯერ უცხო ხილია, რადგან არ ვართ განებივრებული დიდი სპორტული შეჯიბრებებით, თუმცა, ყამირი ამ კუთხითაც გატყდა და სწორედ იმ ახალგაზრდების, იმ მოხალისეების დიდი დამსახურებაა, წლეულს ივლისში თბილისმა უპრობლემოდ რომ უმასპინძლა ევროპის ბავშვთა ოლიმპიურ ფესტივალს. საქართველოში მოხალისეობის ისტორიაც, ძირითადად, ამ ფესტივალს ითვლის, სადაც 2500-მდე მოხალისე იყო დასაქმებული, მათგან უმეტესობა – 2 000 ახალგაზრდა ქართველი იყო.

„მოხალისის დღე“, თავდაპირველად, ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა აღნიშნა, რომელმაც მოხალისეებს თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში უმასპინძლა. ღონისძიებას სეოკ-ის პრეზიდენტთან, მსოფლიოს ხუთგზის და ოლიმპიურ ჩემპიონ **ლერი ხაბელოვთან** ერთად, დედაქალაქის მერი **დავით ნარმანიაც** ესწრებოდა. მათ სიტყვით მიმართეს მოხალისეებს და ხაზი გაუსვეს ახალგაზრდების წვლილს ზემოაღნიშნული ფესტივალის ორგანიზებულად ჩატარებაში. *„უპირველესად სწორედ თქვენმა თავდადებამ, პატრიოტულმა სულისკვეთებამ განაპირობა ამ მნიშვნელოვანი სპორტული ფორუმის დიდი წარმატება. ჩვენ ყველამ ერთად ძალიან სერიოზული გამოცდა ჩავაბარეთ, ღირსეულად გავართვით თავი მეტად რთულ ამოცანას, რასაც ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციების, გამოცდილი ექსპერტების თუ რიგითი ადამიანების შეფასებები ადასტურებს. ამ შეფასებებში ხაზგასმულია, რომ ფესტივალის ერთ-ერთ ძლიერ რგოლს წარმოადგენდა მოხალისეთა გუნდი – საქართველოსთვის ჯერ კიდევ უცხო და ახალი ინსტიტუტი“* – მიმართა მოხალისეებს ლერი ხაბელოვმა და დასძინა, რომ საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი მომავალშიც შეუწყობს ხელს მოხალისეთა ინსტიტუტის განვითარება-გაძლიერებას, მათ ჩართვას ადგილობრივ და საერთაშორისო დონის სპორტულ ღონისძიებებში.

უნივერსიტეტში დაწყებული ღონისძიება თბილისის ზღვაზე, „ჯინო ფერედაისში“ გაგრძელდა, სადაც გამოირჩეული და აქტიური მოხალისეები საჩუქრებითაც დააჯილდოვეს.

„მოხალისის დღე“ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრომაც აღნიშნა, რომელიც მოხალისეობის ინსტიტუტის გასაძლიერებლად სპეციალურ პროგრამას ახორციელებს. თავის მხრივ, ეს პროექტი ეფუძნება „საქართველოს სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტსა და სამოქმედო გეგმას“, რომლის საფუძველზე შერჩეული 10 არასამთავრობო ორგანიზაცია ადგილებზე ახორციელებს პროგრამის კოორდინირებას. ეს ადგილობრივი ერთეულები უკვე ამ ორგანიზაციებმა აარჩიეს, ოღონდ კონკურსის საფუძველზე – ქვეყნის 67 მუნიციპალიტეტის 134 ახალგაზრდა, 2-2 მონაწილე ყველა ადმინისტრაციული ერთეულიდან.

გამორჩეული ახალგაზრდები სამინისტროში გამართულ შეხვედრაზეც დააჯილდოვეს და სიგელებიც გადასცეს. აღსანიშნავია, რომ ევროპული ოლიმპიური ფესტივალის ყველა მოხალისეს (შეგახსენებთ, რომ ისინი რამდენიმე საკონკურსო ეტაპის გავლით შეარჩიეს) საერთაშორისო სერტიფიკატი გადაეცა, რაც მათ საშუალებას აძლევთ, მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში დარეგისტრირდნენ მოხალისეებად და მონაწილეობა მიიღონ მათთვის საინტერესო ღონისძიებებში.

რუბრიკას უძღვება ირაკლი თავაძე

ახალგაზრდა მოციგურავეთა წარმატება

უნგრეთის დედაქალაქ ბუქარესტში ჩატარებულ ახალგაზრდა მოციგურავეთა საერთაშორისო ტურნირში წარმატებით გამოვიდნენ ქართველი სპორტსმენები, რომლებმაც 3 ოქრო და 1 ბრინჯაო მოიპოვეს. არადა, ტურნირში ჩვენგან სულ 5 სპორტსმენი სრიალებდა, ხოლო თავად შეჯიბრება ფრიად წარმომადგენლობითი იყო – 30 ქვეყანა მონაწილეობდა.

ჩემპიონები გახდნენ: **ანა დეა გულბიანი-შმიდტი**, **ნიკოლოზ ეგაძე** და **ნატალია ლომინეიშვილი**, მესამეზე **ეკატერინე იაზადი** გავიდა. უმედლოდ მხოლოდ **ინგა ფუტკარაძე** დარჩა, ის მე-11 იყო.

მწვრთნელის თასი აკადემიას

ვერის ბაღის საკალათბურთო დარბაზში ჩატარდა ბავშვთა კალათბურთის ცნობილი მწვრთნელის – თამაზ ოქრუაშვილის ხსოვნის ტურნირი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 2000-2001 წლებში დაბადებულ მოზარდთა 6-მა გუნდმა. ისინი ორ ჯგუფში განაწილდნენ, გამარჯვებულებმა კი ჩემპიონის ტიტული გაითამაშეს, მეორე ადგილოსნებმა – ბრინჯაოს მედალი.

ფინალში თამაშის უფლება „ორბიმ“ და „აკადემიამ“ მოიპოვეს და დაძაბული პაექრობაც შესთავაზეს მაყურებელს. პირველ ტაიმში საგრძნობ უპირატესობას ფლობდა **ზვიად დიდბარიძის** და **ნინო ყიფშიძის** დამოძღვრილი „ორბი“, მაგრამ მეორე ტაიმში **ალექსანდრე ჯაფარიძის** გუნდმა შეიტანა თამაშში გარდატეხა და მეტოქეს გამარჯვება ხელიდან გამოჰგლიჯა – 92:633. ამდენად, თამაზ ოქრუაშვილის სახელობის თასი მისივე სახელობის კალათბურთის აკადემიის გუნდმა მოიპოვა.

მესამე ადგილისთვის შეხვედრაში ბრძოლა, ფაქტობრივად, არ ყოფილა, რადგან „ჰიუნდაიმ“ „მართვეს“ 117:56 მოუგო და ბრინჯაოს მედლებს დაეუფლა.

ტურნირის საუკეთესო უკანახაზელად „ორბის“ წევრი **რატი ანდრონიკაშვილი** დაასახელეს, მაყურებლის სიმპათიად კი – მისი თანაგუნდელი **გიორგი ბიჭიაშვილი**. ტურნირის საუკეთესო მოთამაშედ აკადემიელთა ლიდერი **მიხეილ ზურაბიშვილი** აღიარეს.

მასწავლებლის ბიბლიოთეკა

მასწავლებლის სამუშაო რვეული

მასწავლებლის სამუშაო რვეული პორტფოლიოს განუყოფელი ნაწილია. რვეულის სტრუქტურა საშუალებას აძლევს მასწავლებელს:
1. საჭიროებისამებრ შეავსოს გაკვეთილის დაგეგმვის სქემების მოკლე ან სრული ვარიანტები;
2. გაეცნოს გაკვეთილის დაგეგმვის რეკომენდაციებს;
3. გაეცნოს გაკვეთილის მოკლედ და დეტალურად დაგეგმვის ნიმუშებს.

4 ლარი

ინტერაქტიური მეთოდების კრებული

კრებულში აღწერილია **ინტერაქტიური სწავლების მეთოდები**; მოცემულია თითოეული მეთოდის გამოყენების ეტაპობრივი აღწერა; განხილულია, რა უნარებს ავითარებს თითოეული მეთოდი; დასახელებულია თითოეული მეთოდის გამოყენების წინაპირობა. კრებულში თავმოყრილია 50-მდე მეთოდის აღწერა.

6 ლარი

შეძენის მსურველები დაგვიკავშირდით:
599880073, 0322958023

მნიშვნელოვანი შეკითხვები პასუხებით

საინფორმაციო გზამკვლევი აგებულია კითხვა-პასუხის კონცეფციაზე. მასში განხილულია მნიშვნელოვანი პრაქტიკული საკითხები: სწავლების, შეფასების, კომუნიკაციის, მოტივაციის, სასკოლო კონფლიქტების, სწავლის თეორიების და სასწავლო გარემოს აქტუალურ საკითხებზე. წიგნი დაეხმარება მასწავლებლებს, პედაგოგიური ფაკულტეტის სტუდენტებს.

3 ლარი



კათედრის გამგის პორტფოლიო

კათედრის გამგის პორტფოლიო საშუალებას აძლევს კათედრის გამგეს აღრიცხოს, გააფორმოს, აღწეროს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საქმიანობები. შესავსები სქემების, ცხრილებისა და კათედრის სხდომის ოქმების გარდა, პორტფოლიო შეიცავს მეთოდურ რეკომენდაციებს, რაც დაეხმარება კათედრის ხელმძღვანელს პორტფოლიოს წარმოებაში და მისი საქმიანობის განხორციელებაში.

6 ლარი

მასწავლებლის კალენდარი

2015-2016 სასწავლო წლის კალენდარი ისეა შედგენილი, რომ მასწავლებელს მთელი სასწავლო წლის განმავლობაში შეუძლია **დაგეგმოს და ჩაინიშნოს** მისთვის საჭირო და სასურველი აქტივობები და ინფორმაციები. კალენდარი ყოველკვირეულად აწვდის მასწავლებელს მისთვის მნიშვნელოვან პრაქტიკულ, **პედაგოგიურ რჩევას თუ საჭირო ინფორმაციას**.

კალენდარს ახლავს პირველი და მეორე სემესტრისთვის განკუთვნილი შესავსები გაკვეთილების ცხრილი, მნიშვნელოვანი აქტივობების რეესტრი და თავისუფალი ფურცლები, რაც მოსახერხებელია, რათა მასწავლებელს ყველა საჭირო ინფორმაცია ერთად ჰქონდეს განთავსებული.

5,50 ლარი

მიმდინარეობს ხელმოწერა

მასწავლებლის ბიბლიოთეკა



პუბლიკაცია მოიცავს დაწყებითი კლასების მასწავლებლებისთვის საინტერესო საკითხებს. წიგნში მიმოხილულია შემდეგი თემები: ადრეული განათლების მნიშვნელობა ბავშვის შემდგომი განვითარებისთვის, სასკოლო მზაობის ცნება და დახმარების სტრატეგიები სკოლასთან ადაპტაციისთვის, სოციალურ-ემოციური სფეროს განვითარების ხელშეწყობა და კონკრეტული რეკომენდაციები, სწავლის მოტივაციის ამაღლების ხელშეწყობა, სასწავლო მიზნების ფორმულირება, კრიტიკული აზროვნების, მათემატიკური უნარების, მეტყველების განვითარება და კონკრეტული რეკომენდაციები ზეპირმეტყველებისა და წერითი დავალებებისათვის, კითხვის მნიშვნელობა და კითხვის უნარის სპეციფიკური დარღვევა-დისლექსია, ფიზიკური განვითარების ხელშეწყობა და რეკომენდაციები მოძრავი თამაშებისთვის, განმავითარებელი შეფასების საშუალებები, მშობლებთან თანამშრომლობა, საკლასო ოთახის მოწყობის სპეციფიკა, კლასის მართვის სტრატეგიები.



წინამდებარე სახელმძღვანელოში ავტორების მიერ პრაქტიკულად არის ახსნილი ქიმიის, ფიზიკისა და ბიოლოგიის უმნიშვნელოვანესი საკითხების სწავლების მეთოდიკა როგორც პირდაპირი (დედუქციური), ისე არაპირდაპირი (ინდუქციური) სწავლების თვალსაზრისით. სახელმძღვანელო დაეხმარება მასწავლებელს გაკვეთილის დაგეგმვისა და დაგეგმილი გაკვეთილის ეფექტურად ჩატარების პროცესში.

თითოეულის ფასი – 7,30 ლარი

თამაზ ვასაძე
ქართული აგიოგრაფიული პროზა ლიტერატურის შემსწავლელთათვის
4 ლარი

ნატა ახმეტელი, ბესიკ ლორთქიფანიძე, ნიკო მურღულია
ისტორია
ტესტები ეროვნული გამოცდისთვის
~~9~~ ლარი 8 ლარი

ისტორია
თეორიული საკითხები და ტესტები საატესტატო გამოცდებისთვის
~~6~~ ლარი 5 ლარი



ქეთევან ტატიშვილი, ზურაბ ბერაია
ფიზიკა
თეორიული საკითხები
და ტესტები საატესტატო გამოცდებისთვის
~~8~~ ლარი 7 ლარი

ფასი – 15 ლარი

შოთა რუსთაველი
ვეფხისტყაოსანი
ბაჩანა ბრეგვაძის პროზაული ვერსია
სერიიდან ინტელექტი სკოლას

წიგნი I
ძველი ქართული მწერლობა;
წიგნი II
„ვეფხისტყაოსანი“;
წიგნი III
XIX საუკუნის მწერლობა
წიგნი IV
XX საუკუნის მწერლობა

თამარ გელიტაშვილი, ამირან გომართელი

სავარჯიშო რვეული ქართულ მართლწერაში

10 ლარი

თითოეული კრებულის ფასი – 12 ლარი

საყმაწვილო ენციკლოპედია

თითო ტომის ფასი 12 ლარი

ავტომობილი
სამურაი
უდაბნო
გამოგონებები
განძის ძიება
გლადიატორები
დრო და კალენდარი
ძველი ეგვიპტე
ევროპა
ვიკინგები
ფიზიკა
ახსნილი და აუხსნელი
ფენომენები
კოშკები და ცათამბჯენები
უძველესი ადამიანები
მათემატიკა
ძველი რომი
ძველი საბერძნეთი



რა არის რა

აქცია

მთავაზობთ 10 ტომს ენციკლოპედიების სერიიდან „რა არის რა“ სპეციალურ ფასად. პირველი 10 სეზონიერი თითო ტომს, 12 ლარის ნაცვლად, 7 ლარად მიიღებს.

ამინდი
არქიტექტურა
კრიმინალისტიკა
ჯანსაღი კვება
მთები
ოლიმპიური თამაშები
მეკობრეები
ქიმია
ხალხთა დიდი გადასახლება
მეცნიერებები

ხელმოწერის თანხა გადმორიცხეთ რეკვიზიტებზე:
მიმღები – შპს „ახალი განათლება“,
ს/კ 202058735, ა/ა GE93LB0113314052305000, ს/ს „ლიბერთი ბანკი“, ბ/კ LBRTGE22
ყურადღება! ფიზიკურმა პირებმა, თანხის გადმორიცხვისას, მიუთითეთ პირადი ნომერი

თემატური კლასიკები

დაწყებითი კლასებისთვის
ფორმატი A2 (42X59.4 სმ)

1. წელიწადის დროები: შემოდგომა-ზამთარი
2. წელიწადის დროები: გაზაფხული-ზაფხული
3. ფერები
4. გარეული ცხოველები
5. გარეული ფრინველები
6. პროფესიები
7. შინაური ცხოველები და ფრინველები
8. ჰიგიენის ნივთები
9. სოფლური ნივთები
10. ტრანსპორტი
11. წყლის ბინადრები

2.50 ლარი

მაღალი კლასებისთვის
ფორმატი A1 (59.4X84.1 სმ)

1. რელიგიების წარმოშობა
2. გარეული ფრინველები საქართველოში
3. გარეული ცხოველები საქართველოში
4. მწერები
5. ძვეწარმავლები საქართველოში
6. საქართველოს მცენარეები
7. სამყაროს წარმოშობა
8. ნიადაგი – სიცოცხლის წყარო
9. რეპტილიები და დინოზავრები
10. ზღვის დინებები
11. ქიმიური ელემენტების პერიოდული სისტემა
12. ქართველი მეომრის შეიარაღება და საბრძოლო ტექნიკა
13. მსოფლიოს შვიდი საოცრება

4 ლარი

მწერალთა პორტრეტები (34X47 სმ)

1. მიხეილ ჯავახიშვილი
2. გიორგი ლეონიძე
3. ირაკლი აბაშიძე
4. ნოდარ დუმბაძე
5. აკაკი წერეთელი
6. კონსტანტინე გამსახურდია
7. პაოლო იაშვილი
8. სულხან-საბა ორბელიანი
9. პოლიკარპე კაკაბაძე
10. გურამ რჩეულიშვილი
11. დავით გურამიშვილი
12. ბესიკი
13. რევაზ ინანიშვილი
14. თეიმურაზ I
15. ვახტანგ VI
16. გიორგი მერჩულე
17. გრიგოლ ორბელიანი
18. დავით ალმაშენებელი

4 ლარი

რეპროდუქციები

1. ჰორაციუსთა ფიცი - ჟაკ-ლუი დავიდი
2. მწყემსთა თაყვანისცემა - დომენიკო გირლანდაიო
3. ადელ ბლოხ-ბაუერის პორტრეტი - გუსტავ კლიმტი
4. მენინები - დიეგო ველასკესი
5. დელფოსელი სიბილა - მიქელანჯელო
6. მხატვრის ბაღი - კლოდ მონე
7. უძღები შვილის დაბრუნება - რემბრანდტი
8. საძინელა - ოგიუსტ რენუარი
9. საკვირაო გასერნება გრან ჟატის კუნძულზე - ჟორჟ სიორა

6.5 ლარი

მითითებულია ერთი ცალის ფასი

გამოფენა

„ლია პორტრეტი“ ახალი შტრიხებით

ლალი ჯელაძე

2015 წელს ვაჟა-ფშაველას გარდაცვალებიდან 100 წელი შესრულდა. ამ თარიღთან დაკავშირებით, ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, საგამოფენო-საგანმანათლებლო პროგრამა „ვაჟა-ფშაველა“ განხორციელდა.

„როგორ ცხოვრობდა ვაჟა-ფშაველა, უგერგილოდ დაკეცილ ფურცლებზეც ემჩნევა, ლაქებზეც ემჩნევა, შემთხვევით წამოცდენილ მინაწერებზე, გულაცრუებულ რემარკებზე... ვაჟა-ფშაველას პორტრეტი ღიად არის, თაობების განმავლობაში ღიად დარჩება და ყოველთვის რაღაც დაემატება. ეს ერთგვარი საექსპერიმენტო გამოფენა იმიტომ გაკეთდა, რომ ყველა თაობამ თავისი შტრიხი შესძინოს. აი, ასეთი დაკვირვებებისგან შედგება და არა ისეთი ჩვეულებრივი ბიოგრაფიებისგან, რითაც ყველა ერთმანეთს ჰგავს და პოზიტიური მსჯელობების ერთგვარი ნაკრებია“ – ამბობს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მეცნიერ-თანამშრომელი **ესმა მანია.**

ლუკა რაზიკაშვილი და ვაჟა-ფშაველა, პირობითად ორ მოცემულობად – დიდ შემოქმედად და დუხჭირი ყოფით მცხოვრებ კაცად – ყოფს მეცნიერი ვაჟა-ფშაველას ცხოვრებას და შემოქმედებას. ორივე შემთხვევაკი სწორედ იმ არქივის ფურცლებზე იკვეთება, რომელიც ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრშია დაცული. *„ერთი მხრივ, ერთ პატარა ნაგლეჯ ფურცელზე არის ვაჟა-ფშაველა თავისი „უსევადო სატევარივით სადა, მაგრამ ჟანგმოუკიდებელი სტრიქონებით“ და მეორე მხრივ, თავისი ყოველდღიური მძიმე ყოფით და საზრუნავით“.* პოეტი ბეჭდვითი სიტყვის შეურაცხყოფად მიიჩნევდა ფულზე და ჰონორარზე წერას, მაგრამ გამოუვალი მდგომარეობის გამო, ეს მაინც უწევდა. „ივანე კოტორაშვილის ამბავის“ დაბეჭდვისთვის, პირველად, ვაჟა-ფშაველას 4 თუმანი მოუთხოვია, თუ ცალკე წიგნად დაბეჭდავდნენ, იმ შემთხვევაში კი 5 თუმანს ვითხოვო, მერე მიუწერია, რომ ფულის საკითხი, როგორც გნებავთ, ისე გადაწყვიტეთო. მაგრამ ეს ფრაგმენტი იქვე გადაუშლია... მის მიერ ნაწარმოებ ფინანსთა ანგარიშებიდან, რომელიც „ბახტრიონის“ ხელნაწერის ბოლო გვერდზე უწარმოებია, ვიტყობთ, რომ მაქსიმალური თანხის რაოდენობა 50 რუბლს არ აღემატება. სავარაუდოა, რომ ვაჟა-ფშაველას თავისი საუკეთესო ნაწარმოების ბოლო გვერდზე, სავარაუდოდ, მისაღები ჰონორარის ანგარიში აქვს ჩამოწერილი. ცნობილია, რომ ვაჟა, საქართველოს რაიონებიდან, ყველაზე კმაყოფილი ქუთაისიდან დაბრუნებულა, სადაც მისთვის ჩოხა და ხუთი თუმანი უსახსოვრებიათ. ვაჟა ამ საჩუქარს უზომოდ გაუხარებია. მას რომ ჰონორარებით არ ანებივრებდნენ გამომცემლები, ეს ნათლად ჩანს მის სავარაუდო ხარჯთაღრიცხვაშიც. ერთ-ერთ ჩანაწერში ვაჟას ნაყიდი ნივთების ნუსხაც გვხვდება: ლურსმანი – 20, ფლოსტები – 60, შალი ქართ. – 160, შალი თურქ. – 50, საკაბე თამარისა – 3, წაღები ლევანისა – 5. ქალაქში საყიდლებზე ვაჟა-ფშაველა თვითონ დადიოდა და მის მიერ ნაყიდ ნივთთა შორის, ყველაზე დაბალფასიანი თამარის საკაბე ყოფილა. საგულისხმო ფაქტია, რომ ვაჟა არსებული სოციალური ყოფის შესაბამისადაც და ოჯახის პატივისცემის ნიშნადაც, თვითონ არჩევდა შვილების – ლევანისა და თამარის სამოსს. აქედან გამომდინარე – ძალიან უბრალოს, სადას და უპრეტენზიოს. *„ვაჟას სავარაუდო ჰონორარების ხარჯთაღრიცხვებში რიცხვი არასოდეს არაა ორნიშნაზე მეტი... ეს არქივი ერთადერთი მოცემულობაა, რომელიც აერთიანებს ვაჟა-ფშაველას როგორც შემოქმედსა და ძალიან მწირი შემოსავლების მქონე ლუკა რაზიკაშვილს.“* – გვიამბობს **ესმა მანია**.

ვინაიდან ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში ინახება ვაჟა-ფშაველას პირადი არქივი, შემოქმედებითი მოღვაწეობის ამსახველი მასალა (ლექსები, პოემები, პუბლიცისტური წერილები, პირადი ჩანაწერები, ფოტოები), ბუნებრივია, ცენტრი ახორციელებს საგანგებო საგამოფენო-საგანმანათლებლო პროექტს.

გამოფენაზე წარმოდგენილ ვაჟას ცნობილი ლექსების, პოემების, მოთხრობებისა და პუბლიცისტური წერილების ორიგინალებში კარგად ჩანს, როგორ ცვლიდა ავტორი, შლიდა და ალამაზებდა თითოეული სტრიქონის კეთილხმოვანებას; დამთვალიერებელს შესაძლებლობა ჰქონდა თვალი მიედევნებინა ისეთი შედევრების შექმნის სამუშაო პროცესისთვის, როგორებიცაა: „ბახტრიონი“, „ზვიადაური“, „გველის მჭამელი“ და სხვ; „ბახტრიონის“ ერთადერთ ეგზემპლარზე კარგად ჩანს, როგორ ცვლიდა და შლიდა ვაჟა ტექსტს, სათაურს, თითოეულ სიტყვასაც კი. ექსპონატზე გადასწორებულ ტექსტშიც იკითხება, რომ პოემის სათაურის პირველი ვარიანტი იყო „ზავი“, მეორე – „ლელა“ და საბოლო ვარიანტად კი „ბახტრიონი“ ჩაუსწორებია. დაცული მასალებით ირკვევა, რომ ვაჟა ტექსტებს არასოდეს ათეთრებდა, ჩასწორებით კი თამამად და ხშირად ცვლიდა. ესმა მანიას აზრით, ტექსტები რომ გადაეთეთრებინა, ამისთვის პოეტს არ ეცალა: *„უწყვეტი და დაუნანებელი ფრაზა, შემოქმედებითი ნიჭი ჰქონდა – ძალიან თამამად გადაშლიდა არა მხოლოდ სტრიქონებს, მთელ სტროფებს, მაგრამ არასოდეს მიუჩნევია საჭიროდ, რომ შემდეგ ეს გადაეწერა-გადაეთეთრებინა, რაღაც ფორმაში მოეყვანა. ამისთვის არ ეცალა ვაჟა-ფშაველას.“*

ვაჟა-ფშაველას ხელნაწერ მემკვიდრეობაში ხელმოწერის არაერთი ვარიანტი გვხვდება. ვაჟას ფაქსიმილეს მოხაზულობას ლირიზმი მაშინ ეტყობა, როცა სატრფიალო ლექსზეა მიწერილი, მანერული სტილი მაშინ აქვს, როცა საკითხი სიმბოლოებით, ხატსახოვნადაა გააზრებული, ხვეულები და რთული ჩანართები კი მაშინ, როცა სამყაროში ადამიანის ბედზე რიტორიკული პათოსით საუბრობს. სატრფიალო ლექსს ვაჟა სხვაგვარად აწერდა ხელს, საგმირო-სარაინდოს – სხვაგვარად. შეიძლება, გრაფიკულმა ანალიზმა მის პორტრეტს ახალი შტრიხები შესძინოს.

ვაჟას შემოქმედებითი სამზარეულო ასე გამოიყურება: საწერ მასალად A4-ის ფორმატზე დიდ ქაღალდს იყენებს, რომელსაც ხშირად ჰორიზონტალურად კეცავს, წერს შავი, ლურჯი და ზოგჯერ მწვანე მელნით, ხშირად ფანქრითაც. იყენებს ტექსტის დასრულების ოვალურ და მომრგვალებული ფორმის გრაფიკულ ნიმუშებს. ერთ გვერდზე მოთავსებულ ცალკეულ ნაწარმოებს აწერს ხელს. ტექსტის ორგანიზების თვალსაზრისით, გვერდები ქაოტურადაა, ხშირად ერთ გვერდზე გვხვდება ტექსტის როგორც ჰორიზონტალური, ისე ვერტიკალური განლაგება. სქოლიოდ ჯვარს იყენებს, ტექსტებს თამამად ასწორებს და მის ხელნაწერებში ე.წ. „შავი“ ნაწერების წილი აღემატება „თეთრისას“.

ამას ყველაფერს მეცნიერი თავისებურ ახსნა-განმარტებას აძლევს: *„როგორც ეტყობა, მას იმდენად დაბალი ხარისხის მელანი ჰქონდა, რომ სიცოცხლეშივე აქროლდა. ნაწერებში ვხვდებით ტექსტის „გაცხოველების“ პრაქტიკასაც – რამდენჯერმე გადაატარებს ხოლმე კალამს. საინტერესოა ისიც, რომ ფურცელს კეცავს არა სიგანეზე, როგორც ყველა, არამედ სიგრძეზე. ქაღალდი ბოლო სანტიმეტრამდე აქვს ათვისებული.“*

რამდენიმე საარქივო ერთეულში სრულიად მოულოდნელად გვხვდება ვაჟა-ფშაველას ჩანახატები – ადამიანთა პროფილში შესრულებული პორტრეტები და ზოომორფული გამოსახულებები. ეს ქვეცნობიერი „წამოცდენები“ ერთგვარად ავსებს პოეტის მიერ ტექსტით გამოხატულ სათქმელს. უამრავი ინტერპრეტაცია შეიძლება მისცეს ამ საარქივო მასალებმა ამ ჩანახატებს. გრაფოლოგები და ფსიქოლოგები თავის სახელს დაარქმევენ. მთავარი ისაა, რომ ვაჟას ეს ახალი ამპლუა ახალ შტრიხებს მატებს მისსავე პორტრეტს.

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის გამოფენისა და განათლების დეპარტამენტის მეცნიერ-თანამშრომელი **ნიკოლოზ ჟღენტი** მიიჩნევს, რომ ცენტრს აქვს უპირატესობა სხვა დაწესებულებებთან შედარებით, რადგან სწორედ იქ ინახება ვაჟას პირადი არქივი და ის უამრავი დეტალი, რომელიც ძალიან ბევრი

ადამიანისთვის დღემდე უცნობია, მისი ცხოვრებისა და შემოქმედებიდან. მისივე თქმით, ამ გამოფენის უპირატესობაც სწორედ ეს გახლავთ, ვიზიტორები ვაჟას პორტრეტის ძალიან ბევრ ახალ შტრიხს აღმოაჩენენ. ვაჟას ავტობიოგრაფია მისივე ხელმოწერით, მხოლოდ აქ, ამ საგამოფენო სივრცეში შეიძლება ნახოს დამთვალიერებელმა, აქ შეიძლება ვაჟას ყოფითი ცხოვრების ნიუანსებს წააწყდეთ, აღმოაჩინოთ ახალი შტრიხი მისი პიროვნებიდან. ცენტრი უპირატესობას ბოლომდე იყენებს და დამთვალიერებელს ერთგვარ ექსპერიმენტს სთავაზობს ინტერაქტიული თამაშის სახით: *„ჩვენ ვიზიტორებს ვთავაზობთ, გახდნენ არქივარიუსები, ანუ ხუთი წუთის განმავლობაში გახდნენ ის ადამიანები, ვინც არქივებს ამუშავებს. მათ შეუძლიათ, წინასწარ მომზადებული კითხვარის საფუძველზე, შეისწავლონ სტენდებზე განთავსებული საარქივო მასალა, დააზარისხონ და აღწერონ, ანუ გააკეთონ ხუთი წუთის განმავლობაში ის საქმე, რასაც ჩვენთან არქივარიუსები აკეთებენ. საგანმანათლებლო პროგრამა „უბის წიგნაკიდან წიგნის ფურცლებამდე“ საგანგებოდ აღნიშნული გამოფენისთვის შეიქმნა. ვინაიდან საარქივო მასალა შეიცავს მწერლების საყოველთაოდ ცნობილი ნაწარმოებების სამუშაო ვერსიებს, ნასწორებ შავ ჩანაწერებს, გამოფენაზე მოსულ სტუმრებს შევთავაზეთ ვაჟას ცნობილი პოემების: „ბახტრიონის“, „ალუდა ქეთელაურის“ და სხვა ტექსტების პარალელური ვერსიები – საზოგადოებისათვის ცნობილი ბეჭდური სტრიქონები და ის ვერსია, რომელიც საბოლოო ჩასწორებამდე იყო და შემოინახა ვაჟას პირადმა ჩანაწერებმა; მათ შეუძლიათ შეადარონ ვაჟას ნაწარმოებების თეთრი და შავი ვარიანტები ბეჭდურ ვარიანტს და დააკვირდნენ, როგორი იყო თავდაპირველად ეს ნაწარმოებები და როგორ შეიცვალა გამოცემის დროს“.*

დამთვალიერებელმა პირველად ნახა ვაჟას ჩანახატები. რამდენიმე საარქივო ერთეულში სრულიად მოულოდნელად გვხვდება ადამიანთა პროფილში შესრულებული პორტრეტები და ზოომორფული გამოსახულებები. აღმოჩენილია სულ ოთხი პორტრეტი და ერთი ზოომორფული გამოსახულება, რა შინაგან განცდებს გამოხატავს ნახატები, ჯერ ამოუცნობია. მას უფრო ქვეცნობიერი „წამოცდენები“ შეიძლება ვუწოდოთ, რომელიც საკვლევ მასალას წარმოადგენს გრაფოლოგებისა და ფსიქოლოგებისათვის და რომლებსაც, ალბათ, თავის სახელს დაარქმევენ. შესაძლოა, უბრალოდ, პოეტის მიერ ტექსტით გამოხატულ სათქმელს ავსებენ. უამრავი ინტერპრეტაცია შეიძლება მისცეს საარქივო მასალებმა ამ ჩანახატებს. მთავარი ისაა, რომ ვაჟას ეს ახალი ამპლუა ახალ შტრიხებს მატებს მისსავე პორტრეტს.

პროექტი, გამოფენასთან ერთად, საჯარო ლექციების კურსს მოიცავდა – „ვაჟას ნამდვილი ბიოგრაფია“ – **ეთერ თათარაიძე**; „მითოსური და ქრისტიანული მოტივები ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში“ – **თამარ შარაბიძე**; „ვაჟა ფშაველა, როგორც პუბლიცისტი“ – **ლევან გიგინეიშვილი**.

ახალი განათლება

მთავარი რედაქტორი:
მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: 0102 თბილისი, ტეტელაშვილის ქ. №3
ტელ.: 032 295 80 23, 599 880073
www.axaliganatleba.ge axaliganatleba@gmail.com

რედაქციის საბანკო რეკვიზიტები: შპს „ახალი განათლება“ ს/კ 202058735
ა/ა GE86BG0000000123631000GEL, ს.ს. „საქართველოს ბანკი“ ბ/კ BAGAGE22,
რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.

ISSN 2233-386X
9 772233 386008 >